ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

**ქართული ჯარი ქართულ პროდუქტზე უარს ამბობს?!**



გვ.6

**20 ივლისიდან**

შიო გვეტაძე

**მონანიება**

ქართული დეტექტივი მე-14 ტომი




**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

პარასკევი, 28 ივლისი, 2017 №177 (7412) ფასი: 50 თეთრი

# „სააკაშვილს ნაციონალებისგან საფრთხე ემუქრება“




გვ.2

ნიკოლოზ მჟავანაძე: „ყოფილი პრეზიდენტის დაკავების შემთხვევაში, ბევრი ხმაურიანი საქმე გაიხსნება“

## სააკაშვილი: „უკრაინაში მაინც დავბრუნდები“



გვ.3 „პოროშენკომ წითელი ხაზი გადაკვეთა“

## „ალეკო ელისაშვილს მეორე ტურში გასვლის კარგი შანსი აქვს“



გვ.3



დავით ზურაბიშვილი: „სააკაშვილს ისე მოექცნენ, როგორც ის ივანიშვილს მოექცა“

## ლევან ხაბეიშვილმა ვაშაძის პარტია დატოვა



გვ.2

## „ერგნეთის ბაზრობა უნდა აღდგეს“



გვ.5

გურამ ვახტანგაშვილი: „ჩვენს მთავრობას ამის გაკეთების ეშინია“

## რამაზ საყვარელიძე: „ქართულ ოცნებას“ ამ არჩევნების მოგება არ გაუჭირდება“



გვ.4

## რატომ იწვევს რუსეთის შეშფოთებას პენსის ტურნე



გვ.5

ISSN 1987-9385

# „სააკაშვილს ნაციონალებისგან საფრთხე ემუქრება“

## ნიკოლოზ მჟავანაძე: „ყოფილი პრეზიდენტის დაკავების შემთხვევაში, ბევრი ხმაურიანი საქმე გაიხსნება“

შორენა მარსაგიშვილი

რატომ ჩამოართვა პოროშენკომ სააკაშვილს უკრაინის მოქალაქეობა, ვის წინააღმდეგ მისცემს ექსპრეზიდენტი ჩვენებებს, რატომ არ აწყობთ ნაციონალებს ყოფილი ლიდერის საქართველოში ჩამოყვანა, რა საფრთხეები ელოდება მას? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარე **ნიკოლოზ მჟავანაძე** ესაუბრება.

***– საქართველოში ვიზიტიდან დაბრუნებულმა პოროშენკომ სააკაშვილს უკრაინის მოქალაქეობა ჩამოართვა. ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლების მტკიცებით, ეს გადაწყვეტილება უკრაინის პირველმა პირმა ბიძინა ივანიშვილთან გარიგების შედეგად მიიღო.***

– ნაციონალური მოძრაობა არის სექტა, როგორ შეიძლება, ისინი სიმართლეს ლაპარაკობდნენ? ცოტა ხნის წინ კიევზე ამოსდიოდათ მზე და მთვარე, ახლა ამხელა ქვეყნის ლიდერს მეორე იანუკოვიჩს ადარებენ.

რაც შეეხება გარიგებას, უკრაინის პრეზიდენტს ქართული მხარე არაფერზე არ გარიგებია. სააკაშვილისთვის მოქალაქეების ჩამორთმევაში ჩვენს ხელისუფლებას არანაირი წვლილი არ შეუტანია. ამ კაცმა იმდენი ქნა, რომ უკრაინელებს ყელში ამოუყვანა და მიიღო კიდევაც პასუხი.

თავის ნამდვილ სახეს სანამ გამოაჩენდა, ის უკრაინელებს ძალიან მოსწონდათ. ჩვენმა პროკურატურამ მისი ექსტრადირების მოთხოვნით ორჯერ გააგზავნა მოთხოვნა კიევში და ორჯერვე უარი მიიღო.

ამით გათავხედებულმა სააკაშვილმა უკრაინაშიც მოინდომა ხელისუფლების ჩამოგდება. პოროშენკოს სისხლი გაუშრო თავისი სისულელეებით. უკრაინის იუსტიციის მინისტრს კაბინეტში შეუვარდა, დედა აგინა და ზედ გია გეწაძეც მიაყოლა, რომელიც მინისტრის მოადგილეა.

ძალიან მალე დღის წესრიგში სააკაშვილის ექსტრადირების საკითხი დადგება. საქართველოს ხელისუფლებას მაქსიმალური სიფრთხილისკენ მოვუწოდებ – ყოფილ პრეზიდენტს სერიოზული საფრთხე ემუქრება.

***– ვისგან ან რა საფრთხე ემუქრება სააკაშვილს?***

– საფრთხე მის სიცოცხლეს ემუქრება. ამ წლების განმავლობაში მან ბევრი მტერი შეიძინა, მაგრამ განსაკუთრებულ ხიფათს თავისივე გუნდის წევრებისგან უნდა ელოდოს.

***– გუნდის რომელ განშტოებას გულისხმობთ?***

– სააკაშვილს საფრთხე ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებისგან ემუქრება. აფთრებივით რომ გადანაწილდნენ სხვადასხვა პარტიაში, მაინც ერთ ხროვად დარჩნენ.

***– მათგან რატომ ემუქრება საფრთხე?***

– რატომ? ამან ოღონდ ციხეს თავი დააღწიოს და ყველაფერს დაამღერებს. მისი ალაპარაკება ყველაზე მეტად ყოფილ ხელისუფლებას არ აწყობს. სააკაშვილმა პირი თუ მოაღო, ყველა იმ დანაშაულს აეხდება ფარდა, რომლებიც იმ სისხლიან წლებში იქნა ჩადენილი.

ის მოყვება, როგორ ჩააბარა კოდორის ხეობა, რატომ დაიწყო ომი ცხინვალში. გაიშიფრება კორუფციული სქემები. ნარკოტრასებთან დაკავშირებითაც ბევრი საინტერესო ამბავი გაირკვევა.

საქართველოში ნარკოტრასები რომ არსებობდა, ამაზე აღარავინ დავობს. ამის გადასაფარად ჩაატარა თავის დროზე ის გახმაურებული სპეცოპერაციაც.

***– რომელი სპეცოპერაცია?***

– 2 მილიონის კოკაინი რომ ამოიღეს ვითომ. ეს სპექტაკლი დადგა იმისთვის, რომ დასავლეთისთვის თვალში ნაცარი შეეყარა და დაერწმუნებინა ისინი, რომ ნარკომანიას ებრძოდა.

***– თქვენ უკვე იმაზე საუბრობთ, რომ ის ამა თუ იმ საკითხზე მისცემს ჩვენებას. დარწმუნებული ხართ, რომ მისი ექსტრადირება მოხდება?***



– რა თქმა უნდა, მოხდება. მოქალაქეობის ჩამორთმევას ეს ნაბიჯი მოჰყვება. ის აუცილებლად აგებს პასუხს.

***– სააკაშვილის საქართველოში ჩამოყვანას რა პროცესები მოჰყვება, ამაზე არ გიფიქრიათ?***

– რა პროცესები უნდა მოჰყვეს. მისი დაკავების შემთხვევაში სამართლიანობის აღდგენა დაიწყება.

***– იმაზე არ გიფიქრიათ, რას იზამენ მისი მომხრეები?***

– რა უნდა ქნან? ვის უნდა შეეშინდეს მათი? დაახლოებით ერთი კვირის წინ გერმანელი ტყვეებივით რომ ჩამოიარეს მარშზე? მათ ანგარიშს არავინ გაუწევს.

***– იმ მარშზე მართლა ცოტა ადამიანი მივიდა, მაგრამ საპარლამენტო არჩევნებზე ნაციონალურ მოძრაობას ანუ სააკაშვილს 500.000-ზე მეტმა ადამიანმა მისცა ხმა.***

– დამიჯერეთ, სააკაშვილსა და მის სისხლიან თანამოაზრეებს ბევრად ნაკლები ადამიანი უჭერს მხარს. არჩევნებზე ეს შედეგი იმიტომ დაიდო, რომ მათ ხელისუფლებაზე გამწარებულმა ხალხმა პროტესტის ნიშნად მისცა ხმა.

***– ხელისუფლებაზე ხალხი კიდევ უფრო გამწარებულია. გამორიცხავთ, რომ ისინი სააკაშვილის საქართველოში ჩამოყვანას სიხარულით არ შეხვდებიან?***

– ხალხი „ქართულ ოცნებაზე“ გაბრაზებულია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყოფილ პრეზიდენტს ვარდებით დახვდებიან. 500.000 ამომრჩეველი თქვით და ეს ციფრიც საეჭვოდ მიმაჩნია. ნაცებს ცესკოში ისევ ჰყავთ თავიანთი ხალხი და ასეთი შედეგი მათ დაწერეს. რეალობაში ნაცებს ბევრად ნაკლები ადამიანი უჭერს მხარს.

გამოვრიცხავ, რომ ნაპრეზიდენტალის ექსტრადირებას აქ ხალხის მღელვარება მოჰყვეს. ყველაფერი პირიქით იქნება და ნაცმოძრაობის მხარდამჭერები მის ლანძღვაზე გადავლენ. გალანძღავენ იმიტომ, რომ მას ციხეში გვერდით არ მიუსხდნენ.

კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ნაციონალებს სააკაშვილის საქართველოში ექსტრადირება არ აწყობთ. ამიტომ კიდევ ერთხელ მოვუწოდებ ხელისუფლებას სიფრთხილისკენ.

***– ამ მომენტისთვის მიხეილ სააკაშვილი ამერიკაშია. რამდენიმე დღეში აშშ-ის ვიცეპრეზიდენტი საქართველოში ჩამოდის. თქვენი აზრით, მას საქართველოს ხელისუფლებასთან სააკაშვილზე არ ექნება საუბარი?***

– საუბარი ბევრ რამეზე შეიძლება იყოს. არ გამოვრიცხავ, რომ სააკაშვილის გვარმაც გაიჟღეროს. პენსი მის დაცვას არ დაიწყებს. თქვენ როგორ გგონიათ, პოროშენკომ ნაციონალების ლიდერს ამერიკასთან შეთანხმების გარეშე ჩამოართვა მოქალაქეობა? უკრაინის ხელისუფლება, საქართველოს მსგავსად, ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას ვაშინგტონთან ათანხმებს.

***– ერთი დღით ადრე, სანამ სააკაშვილს მოქალაქეობას ჩამოართმევდა, უკრაინის პრეზიდენტი დონალდ ტრამპმა იმის გამო გააკრიტიკა, რომ ის კლინტონს უჭერდა მხარს.***

– ეგ კრიტიკა ჩვენს ხელისუფლებასაც ეკუთვნის. არჩევნებზე ისინიც კლინტონს უჭერდნენ მხარს. კრიტიკით არაფერი იცვლება და აშშ მის მიერ გაკრიტიკებული პოროშენკოს მიერ მოქალაქეობაწართმეულ სააკაშვილს არ დაიცავს.

როცა დასჭირდა, ამერიკამ თავის ყველაზე ერთგული მოკავშირეები სადამ ჰუსეინი, კადაფი და მუბარაქი გაწირა. სააკაშვილის გამო თავს არავინ მოიკლავს. ერთ-ერთმა ამერიკელმა ლიდერმა მასზე ასეთი რამე თქვა, სააკაშვილი კია ძაღლისშვილი, მაგრამ ჩვენი ძაღლისშვილიაო. მაგრამ ეგენიც დაიღალნენ ამის სიგიჟეებით.

***– როგორც ამბობენ, ის ამერიკას ბევრ დავალებას უსრულებდა. იმ შემთხვევაში, თუ ვაშინგტონი მას გაწირავს, გამორიცხავთ, რომ მან ამერიკის წინააღმდეგაც რაიმე სკანდალური ინფორმაციები გაავრცელოს და ისინი საერთაშორისო გაუგებრობაში გახვიოს?***

– ამ კაცისგან არაფერს გამოვრიცხავ. ამიტომ არ უნდა ბევრს მისი ციხეში მოხვედრა. ამით დამნაშავე სინდიკატებიც შეშფოთდებიან. სააკაშვილს მათთანაც მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა და უამრავი გვარისა თუ ფაქტის დასახელება შეუძლია.

ბევრი წინააღმდეგობა იქნება, მაგრამ ყოფილი პრეზიდენტი ციხეში უნდა წავიდეს. ეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასაც შეუწყობს ხელს. აფხაზები და ოსები დაინახავენ, რომ ის, ვინც ჩვენს გაერთიანებას ხელს უშლიდა, ქართველებმა დასაჯეს.

სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლამდე ჩვენ აფხაზებთან და ოსებთან ძალიან კარგად ვიყავით და ეს პრობლემა თითქმის მოგვარებული იყო. ნაციონალების მოსვლის შემდეგ ყველაფერი უკუღმა შეტრიალდა.

***– სააკაშვილი 2013 წლის ნოემბრიდან აღარ არის საქართველოს პრეზიდენტი, მაგრამ ამ დროის განმავლობაში ოსებთან და აფხაზებთან არანაირი დაახლოება არ მომხდარა. ყოველდღე უფრო იძაბება ვითარება.***

– ვითარება იმიტომ იძაბება, რომ რუსეთთან არ მიმდინარეობს მოლაპარაკებები. დარწმუნებული ვარ, ამ ფლანგზეც მოხდება ცვლილება, რაც დადებით შედეგს მოიტანს. რუსეთთან დიალოგის გარეშე არაფერი გამოვა.

***– მოდით, ისევ სააკაშვილს დავუბრუნდეთ. არის ვერსია, რომ მას ამერიკა შეიფარებს. ამაზე რას ფიქრობთ?***

– მათ შეუძლიათ ამის გაკეთება, მაგრამ არ გააკეთებენ იმიტომ, რომ იციან, ამას რაც მოჰყვება.

***– რა მოჰყვება?***

– საქართველოსა და ამერიკას შორის ბზარი გაჩნდება.

***– ეს საქართველოს უფრო უნდა აწუხებდეს და არა ამერიკას.***

– ვერ დაგეთანხმებით, ვაშინგტონისთვის სულ ერთი არ არის, რა განწყობა იქნება საქართველოში. ამერიკამ თავის დროზე სწორედ ამიტომ არ მისცა სააკაშვილს მოქალაქეობა. საქართველოდან წასვლის შემდეგ პირველად ის შტატებში გაიქცა, პოლიტიკური თავშესაფარიც ითხოვა, მაგრამ არ მისცეს, მხოლოდ სამუშაო ვიზა გაიმეტეს მისთვის.

ახლა არ ვიცი, რა გადაწყვეტილებას მიიღებს ვაშინგტონი. სამაგიეროდ, იმაში ვარ დარწმუნებული, რომ სააკაშვილის დაკავება ბევრ რამეს მოჰფენს ნათელს.

***– მისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევა დაემთხვა კიევის ყოფილი მერის წინააღმდეგ საქმის აღძვრას. ჩერნოვეცკი წლებია, საქართველოშია გადმოხვეწილი და ჩვენი მოქალაქეა. გავრცელებული ინფორმაციით, უკრაინამ ჩვენებურს მოქალაქეობა ჩერნოვეცკის გადაცემის სანაცვლოდ წაართვა.***

– ჩერნოვეცკი არის საქართველოს მოქალაქე. ხელისუფლება ვალდებულია, თავისი ყველა მოქალაქე დაიცვას, მაგრამ, თუ მას დანაშაული აქვს ჩადენილი, კანონის წინაშე უნდა აგოს პასუხი.

არ ვიცი, რა იქნება ჩერნოვეცკისთან დაკავშირებით, მაგრამ იმაში დარწმუნებული ვარ, რომ ნაციონალებისგან სააკაშვილს საფრთხე ემუქრება.

სხვადასხვა ბანაკში გადაბარგებული ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები ათას საშინელებას იგონებენ. 23 ივლისს ისინი მზად იყვნენ სისხლისღვრისთვის. ყველამ დაინახა, რომ დეპუტატ ოთო კახიძეს იარაღი ეკიდა. იქ სხვებიც იარაღებით იყვნენ მისული. რამე რომ ყოფილიყო, გაისვრიდნენ კიდეც.

მათ მსვლელობაზე რადგან ვსაუბრობ, ერთ საინტერესო ამბავს მოგიყვებით. ამ ღონისძიების შემდეგ მათ რიგებში სერიოზული დაპირისპირება მოხდა. ისინი შეთანხმებული იყვნენ, რომ ხალხს მოიყვანდნენ, მაგრამ არ გამოუვიდათ და ერთმანეთს დაერივნენ.

ან რა ხალხი უნდა გამოიყვანონ გირჩებმა. ეს ხალხი მარიხუანის დეკრიმინალიზაციასა და პროსტიტუციის ლეგალიზაციას ითხოვს. მივმართავ ამ გირჩებს, გასაბერ ეკლესიას რომ ეძებენ, ეკლესიას თავი დაანებონ და გასაბერი ქალები შეუკვეთონ. ამ გზით მათთვის პროსტიტუცია სავსებით ლეგალიზებული იქნება.

# ლევან ხაბეიშვილმა ვაშაძის პარტია დატოვა



არასამთავრობო ორგანიზაცია „მედიატორის“ დამფუძნებელი ლევან ხაბეიშვილი „ნიუპოსტთან“ ადასტურებს ინფორმაციას, რომ „ახალი საქართველო“ დატოვა.

– „ახალი საქართველოს“ სახელით 50 დღეზე მეტია არ ვსაუბრობ, შესაბამისად, ზუსტად ამდენი ხანია, რაც პარტიიდან წამოვედი. პოლიტიკურ საქმიანობას გავაგრძელებ, თუმცა სად, ამაზე 10 დღეში სპეციალურ ბრიფინგზე ვისაუბრებ, – განაცხადა ხაბეიშვილმა.

„მედიატორის“ დამფუძნებელი გავრცელებულ ინფორმაციას, რომ ის ნაციონალური მოძრაობის მერობის კანდიდატ ზაალ უდუმაშვილის საარჩევნო კამპანიაში ჩაერთვება, არც უარყოფს და არც ადასტურებს.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# სააკაშვილი: „უკრაინაში მაინც დავბრუნდები“

## „პოროშენკომ წითელი ხაზი გადაკვეთა“

შორენა მარსაგიშვილი

მოქალაქეობის ჩამორთმევის მიუხედავად, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი უკრაინაში ჩასვლას აპირებს. ის უკრაინაში შესვლას დღეს, 28 ივლისს, შეეცდება, ამბობს, რომ მისი გული უკრაინას ეკუთვნის და ამ სიყვარულს ვერავინ დაუშლის.

საგანგებო მიმართვაში მიხეილ სააკაშვილი აცხადებს, რომ მისთვის მოქალაქეობის წართმევით პეტრო პოროშენკომ უკრაინაში დემოკრატია დაასამარა.

ყოფილი პრეზიდენტის განცხადებით, მისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევა პირდაპირ უკავშირდება პოროშენკოს საქართველოში ვიზიტს. ამბობს, რომ რუსეთის დავალებით უკრაინის პრეზიდენტი და ბიძინა ივანიშვილი მის წინააღმდეგ ბრძოლის დაწყებაზე შეთანხმდნენ.

ის სიცრუეს უწოდებს ოფიციალური კიევის განმარტებას, თითქოს საქართველომ უკრაინას მასთან დაკავშირებით ახალი მასალები გადასცა.

— ჩემთვის მოქალაქეობის წართმევამდე ორი დღით ადრე პოროშენკომ შეცვალა იმ კომისიის შემადგენლობა, რომელსაც ჩემთვის მოქალაქეობა უნდა ჩამოერთმია და მისი მორჩილი კომისია დანიშნა, — აღნიშნავს მოქალაქეობაწართმეული ექსპრეზიდენტი.

ის პირობას დებს, რომ დევნილის სტატუსისთვის არ იბრძოლებს და უკრაინაში დაბრუნებას შეეცდება. ამტკიცებს, რომ მისი გული უკრაინას ეკუთვნის და ეს ქვეყანა რადას დეპუტატებზე უფრო მეტად უყვარს. ამას ის პირადად პოროშენკოს გასაგონად ამბობს.

— პეტრო ოლექსეევიჩ პოროშენკო, მე შემიძლია გითხრათ, რომ ცუდი მრჩევლები გყავთ. ამ განკარგულებით თქვენ და თქვენმა მთავრობამ ხელი მოაწერეთ გარდაუვალ მარცხს. დღეს თქვენ გადაკვეთეთ წითელი ხაზი, თქვენ, როგორც თქვენი წინამორბედი, ცდუნდით, დააკმაყოფილოთ სურვილი ნებისმიერ ფასად. მოქალაქეობა არ არის ცარიელი კონცეფცია, ყოველდღე, როცა უკრაინის მოქალაქის პასპორტით ვიყავი, ვმუშაობდი, რომ უკრაინა წარმატებული და ევროპული სუპერსახელმწიფო გამხდარიყო! მე უფრო ვარ უკრაინელი, ვიდრე ამჟამინდელი დეპუტატები. მე მიყვარს უკრაინა მთელი ჩემი გულით და გავაგრძელებ ბრძოლას ჩვენი უკრაინისთვის.

ჩემი გული უკრაინას ეკუთვნის, თქვენი ხელმოწერის მიუხედავად, — მიმართავს სააკაშვილი უკრაინის პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოს.

მის თავს დატეხილ უბედურებაზე ყველაზე უცნაური რეაქცია უკრაინელ მილიარდერ კოლომოისკის ჰქონდა, რომელიც შარშან სააკაშვილის უკრაინიდან გაძევებას ითხოვდა.

ახლა კოლომოისკი სხვანაირად ფიქრობს და მიაჩნია, რომ მისი ვიზავისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევა უკრაინის რეპუტაციაზე უარყოფითად აისახება.

ბიზნესმენის თქმით, მხოლოდ დრო აჩვენებს, რა როლს თამაშობდა სააკაშვილი უკრაინის ისტორიაში.

— სააკაშვილისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევა სამარცხვინო ლაქაა ჩვენი ქვეყნის რეპუტაციაზე. კიდევ უფრო სამარცხვინოა, რომ, ევროპული მისწრაფებების მიუხედავად, ჩამორთმევა „საუკეთესო საბჭოურ ტრადიციებში“ მოხდა. მხოლოდ ისტორია გვიჩვენებს, ის (სააკაშვილი) უკრაინისთვის დადებითი გმირი იყო თუ არა. პირადად მე შემიძლია ვთქვა, რომ მასთან არ მოიწყენდი, და იმედი მაქვს, არც მომავალში მოიწყენ და არა აქვს მნიშვნელობა, რა მოტივებით ხელმძღვანელობდა სააკაშვილი, როცა ჩვენი მიძინებული სამეფო გადმოაყირავა, — განაცხადა ბიზნესმენმა.

კოლომოისკის გარდა, პოროშენკოს განკარგულებამ უკრაინაში კიდევ ბევრი შეაწუხა. მისმა მომხრეებმა კიევში საპროტესტო აქცია გამართეს.

სააკაშვილის მიერ დაფუძნებული პარტია „რუხის“ ლიდერების თქმით, მათი აქციის მთავარი მიზანი საზოგადოებისთვის რეალური ინფორმაციის მიწოდება იყო.

აქციის დაწყებამდე ლიდერები უკრაინის გენერალურ პროკურატურაში იმყოფებოდნენ და ინფორმაციის მიწოდებას ითხოვდნენ.

— არ ყოფილა საჯარო განცხადება არც პრეზიდენტის ადმინისტრაციისაგან და არც გენერალური პროკურატურიდან, მოვედით აქ, რომ პირდაპირ გენერალური პროკურატურისაგან მოვისმინოთ პასუხები, მართლა იყო თუ არა ახალი ინფორმაცია, რის საფუძველზე გაჩნდა ის? იყო თუ არა პროკურატურის მოთხოვნა, მოხდა თუ არა ეს პოროშენკოსა და საქართველოს პრეზიდენტის შეხვედრის შემდეგ? — განაცხადა პარტია „რუხის“ ერთ-ერთმა ლიდერმა.

„რუხი“ აღშფოთებულია იმის გამო, რომ უკრაინის მთავარმა პროკურატურამ მის კითხვებს პასუხი არ გასცა.

აქედან გამომდინარე „რუხი“ ასეთ დასკვნას აკეთებს:

— არის პოლიტიკური ანგარიშსწორების ნიშნები, ვფიქრობ, ეს მოთხოვნა შესაძლოა ორივე პროკურატურის შეთანხმების შედეგი ყოფილიყო და პირველად ვინ გააკეთა, მნიშვნელობა აღარ აქვს.

„რუხის“ აღშფოთებულმა წევრებმა აქციის გამართვა პრეზიდენტის ადმინისტრაციასთანაც ცადეს.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის შენობის წინ სააკაშვილის მხარდამჭერებსა და პოლიციას შორის დაპირისპირება მოხდა. დაპირისპირების შემდეგ პოლიციამ პრეზიდენტის ადმინისტრაციის შენობაში საინიციატივო ჯგუფი შეუშვა, მოქალაქეობის გარეშე დარჩენილი ჩვენებურის ადვოკატებმა კი სასამართლოში შეიტანეს სარჩელი.

ადვოკატ ნიკოლაი ნიდილკოს თქმით, ეს პოლიტიკური დაკვეთაა და მაღალჩინოსნებმა სააკაშვილის მიმართ საკუთარი უფლებამოსილებები ბოროტად გამოიყენეს.

— ადვოკატთა ჯგუფმა უკვე დავიწყეთ მუშაობა ამ ინფორმაციის გადასამოწმებლად. უამრავი მიმართვა მოვამზადეთ სხვადასხვა ინსტანციისთვის, მათ შორის ჩვენ მივმართეთ გენერალურ პროკურატურას, პრეზიდენ-





გაგრძელება მე-4 გვერდზე

# „ალეკო ელისაშვილს მეორე ტურში გასვლის კარგი შანსი აქვს“

## დავით ზურაბიშვილი: „სააკაშვილს ისე მოექცნენ, როგორც ის ივანიშვილს მოექცა“

ნათია ხურცილავა

რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, საკრებულოს დეპუტატი **დავით ზურაბიშვილი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ენდიაის სოციოლოგიურ კვლევებზე და მიხეილ სააკაშვილისთვის მოქალაქეობის შეჩერებაზე საუბრობს.

***— ბატონო დავით, ენდიაის კვლევებით პირველ ადგილზე 30%-ით კალაძეა, მეორეზე — 19%-ით ელისაშვილი და მესამეზე — 18%-ით უდუმაშვილი. რამდენად გამოხატავს ეს კვლევები არსებულ ტენდენციებს?***



— ტენდენციებს ნამდვილად გამოხატავს ეს კვლევები, თუმცა გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ძალიან მაღალია იმ ამომრჩეველთა მაჩვენებელი, რომელთაც ჯერ გადაწყვეტილება არ აქვთ მიღებული. ამომრჩეველთა ამ ნაწილმა საერთოდ არ იცის, მიიღებს თუ არა არჩევნებში მონაწილეობას. სერიოზულად შეუძლია ამ ნაწილს, არჩევნების ბედზე გავლენა იქონიოს. ასევე დიდი მაჩვენებელია იმ ამომრჩევლის, რომელმაც არ იცის, ვის მისცეს ხმა.

***— 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ეს ხალხი სახლში დარჩა, გადაუწყვეტელთა რაოდენობა დაახლოებით 51% იყო მაშინ.***

— დიდხანს ამ ხალხის გადაწყვეტილება მართლაც გაურკვეველი იყო, მაგრამ მოხდა პროცესის ხელოვნურად პოლარიზება — ან ბიძინა, ან მიშა. ასეთი იყო არჩევანი, რასაკვირველია, ხელოვნური და ამან გამოიწვია ამ ციფრების მინიმუმამდე შემცირება. ბოლოს ეს ამომრჩეველი ჩამოყალიბდა და არჩევანი ხელისუფლების სასარგებლოდ გააკეთა.

***— ახლაც იგივეა მოსალოდნელი?***

— არა მგონია, ახლა უკვე ველარ იმუშავებს იგივე. ამიტომ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, პოლიტიკური ძალები როგორ კამპანიას ჩაატარებენ.

***— უკვე თუ გამოიკვეთა, ვინ როგორ კამპანიას ჩაატარებს?***

— მეტ-ნაკლებად გამოიკვეთა, მაგრამ მე ამ ეტაპზე უფრო მნიშვნელოვანი მგონია, რომ ხელისუფლების ალტერნატივად ნაციონალური მოძრაობა, როგორც კონსოლიდირებული ძალა, უკვე აღარ მოიაზრება.

***— ეს გამოავლინა ამ კვლევებმა?***

— დიახ, ეს ნამდვილად გამოავლინა. თბილისში აშკარად გამოიკვეთა ალეკო ელისაშვილის ფაქტორი. ელისაშვილს აშკარა შანსი აქვს, რომ მეორე ტურში გავიდეს.



თუ ოპოზიციურ ძალებში კონსოლიდირება მოხდება, ასევე იმ მოსახლეობასთან იქნება მუშაობა, რომელსაც ჯერ გადაწყვეტილება არ აქვს მიღებული, შეიძლება ენდიაის ეს ციფრები მკვეთრად შეიცვალოს.

***— ამ შედეგებით გამოიკვეთა, რომ მეორე ძალა არ არის ნაციონალური მოძრაობა?***

— ყოველ შემთხვევაში, ეს მაჩვენებლები ვარდნაა მათთვის. ხელისუფლებასაც არ აქვს დიდი მაჩვენებელი. ერთი, რაც აშკარად გამოიკვეთა, არის ის, რომ ხელისუფლების მიმართ საპროტესტოდ განწყობილი ელექტორატი თავითვე არ ნიშნავს, რომ მხარს ნაციონალურ მოძრაობას უჭერს.

***— მეორე ტური იქნება?***

— მეორე ტურის დიდი შანსი არის.

***— მეორე ტურში რამდენად შეძლებს ოპოზიცია ერთი ოპოზიციური კანდიდატის ირგვლივ გაერთიანებას?***

— ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია. პირველ ტურში ეს უკვე გამორიცხულია, რაც შეეხება მეორე ტურს, თუ ოპოზიციამ მეორე ტურში გადასული ოპოზიციური კანდიდატის ირგვლივ სრული მობილიზება მოახდინა და თუ ეს იქნება ალეკო ელისაშვილი, მაშინ ამით სერიოზულ პრობლემას შეუქმნის სახელისუფლებო კანდიდატს. თუმცა, ცხადია, ყველაფერი ამომრჩეველზეა დამოკიდებული.

***— ბატონო დავით, მიხეილ სააკაშვილისთვის მოქალაქეობის შეჩერებას რას უკავშირებთ?***

— სააკაშვილსა და პოროშენკოს შორის ურთიერთობა კარგად ხანია, რაც გაფუჭებულია. სააკაშვილის მიმართ ნამდვილად არ მაქვს არავითარი სენტიმენტები, როდესაც ის ხელისუფლებაში იყო, მაშინაც მის ოპოზიციაში ვიყავი და მას შემდეგაც, რაც ხელისუფლებაში აღარ არის. თუმცა, ის, როგორც მას მოქალაქეობა ჩამოართვეს, მთლად ღირსეული საქციელი არ არის. როგორ ვერ აღმოაჩინეს აქამდე ის სამართლებრივი ხარვეზი, რაზეც ახლა საუბრობენ. არ შეიძლება ადამიანი ასე მოქალაქეობის გარეშე დატოვო. ამიტომ, აშკარაა, რომ ეს არის პოლიტიკური გადაწყვეტილება.

ასეთი პოლიტიკური გადაწყვეტილება თავის დროზე მიხეილ სააკაშვილს აქვს ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ მიღებული. მახსოვს, მაშინ სააკაშვილის ამ გადაწყვეტილებას ძალიან ვაპროტესტებდი. ბედის ირონიაა, რომ მასაც ზუსტად ასევე მოექცნენ.

# რამაზ საყვარელიძე: „ქართულ ოცნებას“ ამ არჩევნების მოგება არ გაუჭირდება“

ნონა ცაბაძე



ენდიაის კვლევებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ექსპერტი, ფსიქოლოგი **რამაზ საყვარელიძე** აფასებს.

***– ენდიაის კვლევით, დღეს რომ არჩევნები იყოს, 22% ხმას „ქართულ ოცნებას“ მისცემდა, 7% – ნაციონალურ მოძრაობას, ხოლო 3% – ევროპულ საქართველოს. რამდენად ობიექტურად გეჩვენებათ ეს პროცენტები?***

– ეს შედეგები დიდად საეჭვო არ არის. სავარაუდოა, რომ ასეთი ძალთა თანაფარდობა ნამდვილად არის.

***– გამოკითხულთა 37% აცხადებს, რომ მის შეხედულებასთან ახლოს არც ერთი პოლიტიკური პარტია არ დგას. ეს არ არის მაღალი პროცენტი?***

– უფრო მაღალიც გვინახავს, როცა 2011-ში ნახევარი საქართველო არ გამოვიდა არჩევნებზე. დღეისთვის ჯერ ადრეა ამაზე მსჯელობა, რადგან ის ადამიანები, რომლებიც ბოლო მომენტამდე თვლიან, რომ არცერთი არ მოსწონთ, ბოლო მომენტში მაინც რაღაც გადაწყვეტილებას იღებენ ხოლმე.

***– ეს გადაწყვეტილება ვის სასარგებლოდ მიდის, მმართველი გუნდის?***

– ბევრი რამეა იმაზე დამოკიდებული, როგორ მოიქცევა თითოეული გუნდი ამ ხნის განმავლობაში.

***– სამართლიანი არჩევნების უმთავრესი დაბრკოლება ამომრჩეველთა მოსყიდვააო, მიიჩნევს გამოკითხულთა ნაწილი. რამდენად აქვს ადგილი არჩევნების წინ ამომრჩევლის მოსყიდვას?***

– მოსყიდვა ძალიან ფართო ცნებაა. შეიძლება პირდაპირი გაგებით ვიგულისხმოთ, რომ აქ ფულის მიცემა იგულისხმება, მაგრამ შეიძლება ფულის მიცემა არ არის და დაპირებას აქვს ადგილი. ამიტომ იმ გაგებით, რომ ფული რიგდება, მე მგონი, არ ხდება. ის, რაც ადრე ხდებოდა, დღეს ნამდვილად არ ხდება. მე მეეჭვება, რომ დღეს ეს თემა იყოს წამყვანი.

***– არჩევნების წინ როგორ შეაფასებდით „ქართული ოცნების“ პოზიციებს? ამბობენ, რომ საკმაოდ დიდია იმედგაცრუება მოსახლეობაში. ასეა?***

– იმედგაცრუება მართლაც დიდია, მაგრამ მოსახლეობაში იმედგაცრუება სხვა პარტიებისადმი უფრო დიდია.

***– იმის თქმა გინდათ, რომ არც ოპოზიცია დაიკვეხნის დიდი მხარდაჭერით?***

– კი, ნამდვილად ასეა. ნაციონალებს ტრადიციული ამომრჩეველი ჰყავთ, ადამიანთა გარკვეული ჯგუფი. სხვა პარტიები კი ძალიან ცუდ დღეში არიან რეიტინგის მხრივ. მარტო „ქართულ ოცნებაში“ კი არა, მთელ პოლიტიკურ სპექტრშია იმედგაცრუება.

***– ახლა რა პრობლემის წინაშე დგას ოპოზიცია?***

– ახლა უფრო პარადიგმის ძებნის პრობლემაა ანუ რა უნდა შესთავაზოს ოპოზიციამ ამომრჩეველს საიმისოდ, რომ ამომრჩევლის ნდობა მოიპოვოს. ისევე, როგორც „ქართულმა ოცნებამ“ რა უნდა შესთავაზოს ამომრჩეველს საიმისოდ, რომ დაიბრუნოს ან მოიმატოს მისი ნდობა. ნაციონალური მოძრაობის საფრთხობელა აღარ ჭრის. საჭიროა რაიმე სხვა ახალი სტრატეგია, რომელიც ჯერჯერობით ამ ეტაპისთვის არ ჩანს.

***– ივანიშვილი გამოჩნდა საზოგადოების წინაშე. რამდენად ელით მის გააქტიურებას. თუ ნახავს, რომ გუნდს უჭირს, ჩაერთვება წინასაარჩევნო პროცესებში?***

– ის პროპორცია, რომელიც ენდიაის კვლევებმა დადო, ჯერჯერობით მიუთითებს იმაზე, რომ „ოცნება“ გაიმარჯვებს, ხოლო თუ ისედაც იმარჯვებს „ოცნება“, ივანიშვილი, როგორც ჩანს, არ აპირებს ჩართვას.

***– გამოკითხულთა 59% მიიჩნევს, რომ ივანიშვილი კვლავ რჩება ხელისუფლების საქმიანობაზე გადაწყვეტილების მიმღებ პირად. თქვენც ასე ფიქრობთ?***

– როდესაც ამ თემაზეა საუბარი, მე ყოველთვის მახსენდება ცოლები.

***– ცოლები რა შუაშია?***

– იმ შუაშია, რომ ერთ-ერთი მთავარი თემა პოლიტიკაში არის პოლიტიკოსების ცოლები. რეიგანის ცოლი მართავდა ამერიკასო, ამბობენ. ის ძალიან გავლენიანი იყო. თანაც საკმაოდ გავლენიანი რეიგანზე ანუ ცოლები ძალიან ხშირად არიან ქვეყნის არაფორმალური მმართველები. რა ვქნათ ახლა? ცოლებს გავყაროთ პოლიტიკოსები ან ავკრძალოთ ცოლიანი კაცების მოყვანა პოლიტიკაში? მერე ადგება, საყვარელს გაიჩენს და იმ საყვარელს ექნება მასზე გავლენა. მე ამას ფსიქოლოგიური თვალსაზრისთ ვხსნი, რადგან გავლენაზე ამდენი ლაპარაკი, რომ, არიქა, ამისგან ქვეყანა ინგრევა, ღიმილის მომგვრელია, იმიტომ, რომ ეს გავლენები ყოველთვის იქნება, სანამ ადამიანები იქნებიან.

***– ანუ ივანიშვილის გავლენა ხელისუფლებაზე ისეთივეა, როგორიც ცოლის გავლენა ამა თუ იმ პოლიტიკოსზე?***

– დაახლოებით. რა, ნაციონალურ მოძრაობაზე მიშას გავლენა არ არის?! და რა ვქნათ ამის გამო?! რამდენ ხანს უნდა ვიძახოთ, რომ გავლენა არის. რომც იყოს გავლენა, ეს არ არის პრობლემა.

***– აბა, რა არის პრობლემა?***

– პრობლემა სხვა რამეშია, იგივე მიშას გავლენა იქნება თუ ბიძინა ივანიშვილის ან ამერიკისა თუ ევროპის. მთავარია, საით მიჰყავს ამ გავლენას ქვეყანა ანუ პოლიტიკაა შესაფასებელი და არა – ამ პოლიტიკის მხარე. არაფორმალური გავლენა კი არ არის ცუდი ან კარგი, ეს გავლენა რას გულისხმობს და რა მიმართულებაზეა ორიენტირებული, ეს არის შესაფასებელი.

***– ანუ რა შედეგი მოაქვს ივანიშვილის გავლენას, თუკი ის მართლაც არის?***

– დიახ. ივანიშვილის გავლენა რომც იყოს, რას გულისხმობს ეს გავლენა, აი, ეს უნდა შევაფასოთ, აი, ესაა პოლიტიკა. სააკაშვილის გავლენაზე თუ არის ლაპარაკი, რას გულისხმობს ეს გავლენა. როდესაც ის აძლევდა დავალებას რუსთავი 2-ს, კარვები გაშალეთ, კარგი იქნება, თუ ფეხმძიმე ქალი დაიღუპება ამ აქციის დროსო და ასე შემდეგ, გავლენის ეს მიმართულებაა სამწუხარო, თორემ, სააკაშვილს რომ გავლენა ჰქონდეს იმ პარტიაზე, რომელიც თვითონ შექმნა, ამაში რა არის გასაკვირი.

თუ გავლენის ვექტორი მიუღებელია, მაშინ ეს გავლენაც მიუღებელია და საერთოდ პოლიტიკაც მიუღებელია, ხოლო თუ გავლენის ვექტორი მისაღებია, მაშინ იმ გავლენისთვის ადამიანს მადლობა უნდა უთხრა.

# სააკაშვილი: „უკრაინაში მაინც დავბრუნდები“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ტის ადმინისტრაციას. ჩვენ გავრცელებული ინფორმაციის დადასტურებას ველოდებით.

უკვე მზადდება სარჩელები, მივმართავთ სასამართლოს, რათა პრეზიდენტის, საიმიგრაციო სამსახურისა და გენერალური პროკურატურის ეს ქმედება უკანონოდ გამოცხადდეს, რადგან მთელი პროცედურა მიხეილ სააკაშვილისა და მისი ადვოკატების ჩართულობის გარეშე მიმდინარეობდა. ეს, ჩვენი შეფასებით, პოლიტიკური დაკვეთაა და მაღალჩინოსნებმა საკუთარი უფლებამოსილება ბოროტად გამოიყენეს, – განაცხადა ნიდილკომ.

გულხელდაკრეფილები არც სააკაშვილის ქართველი მხარდამჭერები სხედან.

ნაციონალური მოძრაობა საქართველოში თავიანთი ლიდერის დევნის შეწყვეტას ითხოვს.

პარტიის ერთ-ერთი ლიდერის, ზაზა ბიბილაშვილის, განცხადებით, დღეის მდგომარეობით, სააკაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის ოთხი საქმე მიმდინარეობს და არცერთ მათგანზე განაჩენი არ დამდგარა.

– ნებისმიერი კეთილსინდისიერი დამკვირვებლისთვის აშკარაა, რომ ოთხივე ეს საქმე არის პოლიტიკურად მოტივირებული, სახელმწიფოებრივად სრულიად სამარცხვინო და, რაც მთავარია, ამხელს ივანიშვილის ხელისუფლების რეალურ მიზნებს, რომელთაც არაფერი აქვს საერთო ქართველი ხალხის მიზნებთან და მისწრაფებებთან, – განაცხადა ბიბილაშვილმა საგანგებო პრესკონფერენციაზე.

მიხეილ სააკაშვილისთვის უკრაინის მოქალაქეობის ჩამორთმევას პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილიც გამოეხმაურა.

მან განცხადება პრეზიდენტის ადმინისტრაციაში, საქართველოში აკრედიტებული უცხოური მედიის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე გააკეთა.

– იმ დროს, როდესაც ბატონმა სააკაშვილმა უარი თქვა საქართველოს მოქალაქეობაზე, მე ვთქვი, რომ ეს იყო ძალიან სამწუხარო, რადგან საქართველოს პრეზიდენტს, ადამიანს, რომელიც ორჯერ იყო ქვეყნის პრეზიდენტი, უნდა ჰქონოდა საქართველოს მოქალაქეობა და უარი არ უნდა ეთქვა ქვეყანაზე, რომელმაც მას ორჯერ ანდო პირველი პირისა და მთავარსარდლის როლი, – განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

სააკაშვილისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევას „ქართულ ოცნებაში“ საყოველთაო სიხარული მოჰყვა.

გახარებულთა შორის აღმოჩნდა სოზარ სუბარიც, რომელიც ახლო წარსულში თავად იყო ნაპრეზიდენტალის მხურვალე ქომაგი, ახლა ამბობს, რომ უკრაინელებმა მისი ყოფილი თანამებრძოლის ნამდვილი სახე დაინახეს და დარწმუნდნენ, რომ სააკაშვილისგან სარგებლობას არ უნდა ელოდონ.

– ავტომატურად მსგავსი გადაწყვეტილებები არ მიიღება. მას ჩამოერთვა აბსოლუტურად კანონიერად საქართველოს მოქალაქეობა, რადგან მიიღო სხვა ქვეყნის მოქალაქეობა. სხვა ქვეყნის მოქალაქეობა კანონდარღვევით მიიღო თუ არა, ეს იმ ქვეყნის სამართლებრივ სისტემაში გასარჩევი საქმეა, თუმცა, რადგან მან მიიღო, ჩვენ გვქონდა კანონისმიერი ვალდებულება, რომ მოქალაქეობა შესწყვეტოდა მას. 2007 წელს სააკაშვილი საქართველოში აბსოლუტურად გაკოტრებული პოლიტიკოსი იყო, იგივე დაინახა ჩვენმა მეგობარმა ხალხმაც, რომ მისგან რაიმე სარგებელს არ უნდა ელოდონ. დადგება დღე, როდესაც ყველა დამნაშავე პასუხს აგებს, – აღნიშნა სოზარ სუბარმა.

# სააკაშვილისთვის აშშ-ში უფრო კარგია, ვიდრე უკრაინაში მუდმივ კლოუნად ყოფნა

უკრაინულ ერთ-ერთი გამოცემის მიერ გამოქვეყნებულ სარედაქციო სტატიაში განხილულია საქართველოს ექსპრეზიდენტისა და უკრაინის ოდესის ოლქის ექსგუბერნატორის მიხეილ სააკაშვილისათვის უკრაინის მოქალაქეობის ჩამორთმევის გარემოებები და მიზეზები, როგორც სამართლებრივი, ასევე პოლიტიკური თვალსაზრისით.



საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ ამონარიდს პუბლიკაციიდან:

ინფორმაციამ მიხეილ სააკაშვილისათვის უკრაინის მოქალაქეობის ჩამორთმევის შესახებ „ქარიშხალი ჭიქა წყალში“ გამოიწვია. თუმცა არავინ არ ფიქრობს იმაზე, რომ მოვლენათა ასეთი განვითარება ბევრს აწყობს. და სხვათა შორის, თვითონ მიხეილ სააკაშვილსაც.

ექსპერტები დიდი ხანია მიუთითებდნენ, რომ თბილის-კიევს შორის ურთიერთობის „აცივება“ გამოიწვია არა იმდენად საქართველოს ხელისუფლებაში მიხეილ სააკაშვილის ოპონენტების მოსვლამ, რამდენადაც იმ ფაქტმა, რომ ქვეყნიდან გაქცეულმა ექსპრეზიდენტმა უკრაინის მოქალაქეობა მიიღო და შემდეგ ოდესის ოლქის ხელმძღვანელად დაინიშნა. სამშობლოში მიხეილ სააკაშვილს ბევრ დანაშაულში ამხელენ.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ რამდენჯერმე გაგზავნა მიმართვა კიევში ექსპრეზიდენტის ექსტრადიციის თაობაზე, მაგრამ უშედეგოდ – უკრაინის ხელისუფლება უარს აცხადებდა.

– საქმის „მკვდარი წერტილიდან“ დაძვრა პეტრო პოროშენკოს საქართველოში ვიზიტს დაემთხვა. ამასთან დაკავშირებით მთელი კონსპიროლოგიური სცენარები შეითხზა – უკრაინის პრეზიდენტი სპეციალურად ჩავიდაო აჭარაში, რათა იქ მყოფ ბიძინა ივანიშვილთან (ყველაზე გავლენიან ადამიანთან) მიხეილ სააკაშვილის ექსტრადიციის საკითხი განეხილა, – ნათქვამია სტატიაში, რომელშიც ვრცლადაა განხილული საქართველოს პროკურატურის მიერ წაყენებული ბრალდებები (სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით).

„მიხეილ სააკაშვილის კაზუსის“ გადაწყვეტა – ეს მრავალსვლიანი მოქმედებაა არა მხოლოდ საქართველოსა და უკრაინის მხრიდან, არამედ აშშ-ის მონაწილეობითაც. ფაქტია, რომ კიევის უარები თბილისის თხოვნებზე ხელს უშლიდა ორი სახელმწიფოს ურთიერთობას – იმ სახელმწიფოებისა, რომლებიც აშშ-ის მნიშვნელოვანი პარტნიორები არიან შავი ზღვის რეგიონში. ამიტომაც, არ არის გამორიცხული, რომ ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ მოიძებნა ისეთი კომპრომისული ვარიანტი, რომელიც ყველას აწყობს: უკრაინა ექსპრეზიდენტს მოქალაქეობას ართმევს (თანაც მატყუარა კაცის დაღით) და ასეთი მოქმედებით წყვეტს საქართველოში მისი ექსტრადირების საკითხს. მიხეილ სააკაშვილი წინასწარ აშშ-ში მიემგზავრება და იქ რჩება. საქართველოს ხელისუფლება „კმაყოფილია“ და ყველაფერს ივიწყებს: აბა, თბილისი ხომ არ დაიწყებს ვაშინგტონში მიმართვების გზავნას, გადმომეცი გაქცეული ექსპრეზიდენტიო...

რაც შეეხება თვითონ მიხეილ სააკაშვილს, მასაც აწყობს მოვლენათა ასეთი განვითარება. უკრაინაში მისი საქმეები წინ რატომღაც ვერ მიდიოდა: ოდესის გუბერნატორობიდან წავიდა (თუ მოხსნეს, ახლა ამას არ აქვს მნიშვნელობა); მისი პარტია „ახალი ძალების მოძრაობა“ („რუხ ნოვიხ სილ“) სოციალური ქსელების დონიდან ვერ გამოვიდა; ტელეპროგრამას, რომელიც მას მიჰყავდა, დაფინანსება აღარ აქვს, თანამზრახველთა გუნდს კი „ჩამოგდებული მფრინავების“ და „ჩაძირული გემების სასაფლაოს“ უწოდებენ. ახლა კი იჯდება მშვიდად აშშ-ში, დაუბრუნდება ლექციების კითხვას „რეფორმების“ შესახებ, ზოგჯერ უკრაინის ხელისუფლებას გააკრიტიკებს, მაგრამ მისთვის ასეთი მდგომარეობა უფრო კარგია, ვიდრე უკრაინაში მუდმივ კლოუნად ყოფნა.

არ ღირს მიხეილ სააკაშვილის თანამზრახველებზე დარდიც. თუ დავით საყვარელიძემ და გიზო უგლავამაც თავიანთ საქმეში რაიმე მოიტყუეს, მათაც პატრონის ბედი ელოდებათ. შეიძლება ამ წუთში არა, მაგრამ მოგვიანებით, შესაბამისი შემოწმების შემდეგ. რაც შეეხება იმათ, ვინ უკვე მოასწრო და „ახალი ძალების მოძრაობას“ მიეწება, ან სურვილი ჰქონდათ, მათ შამპანური უნდა გახსნან იმის აღსანიშნავად, რომ ასეთი გუდურასაგან გათავისუფლდნენ. შეიძლება მათ დაიწყონ ყვირილი, რომ „მიხეილ სააკაშვილი რეჟიმის მსხვერპლიაო“ (დავით საყვარელიძეს, როგორც ჩანს, აქვს ამისაკენ მიდრეკილება), მაგრამ საბოლოო ჯამში ყველა იმ საყვარელიძეებისათვის, ნალივაიჩენკოების, გრიშენკოების, დერევიანკოების, სადოვოებისა და სხვებისათვის უფრო სასარგებლო და მომგებიანია წინ მიხეილ სააკაშვილის გარეშე იარონ (თუ შეუძლიათ). თავს უფრო თავისუფლად იგრძნობენ.

დაბოლოს, უსაფუძვლო ხმების შესახებ, რომელთა თანახმად, თითქოსდა საქართველოს ხელისუფლება უკრაინას ლეონიდ ჩერნოვეცკის გადასცემსო. არაფერი ამის მსგავსი არ მოხდება. საქართველო მას დროებით სადღაც წასვლას შესთავაზებს, მაგალითად, ისრაელში, რომელიც ექსმერს უკრაინას არ გადასცემს. კიევსა და თბილისს „მიხეილ სააკაშვილის კაზუსის“ შემდეგ „ლეონიდ ჩერნოვეცკის კაზუსი“ აღარ დასჭირდებათ.

# „ერგნეთის ბაზრობა უნდა აღდგეს“

## გურამ ვახტანგაშვილი: „ჩვენს მთავრობას ამის გაკეთების ეშინია“

გულიკო ბალაძე

რატომ აწყობს პროვოკაციებს რუსული საოკუპაციო ჯარი ცხინვალის რეგიონში? გაამართლებს თუ არა საოკუპაციო ხაზთან სამოქალაქო პატრულირება? როდის გაიხსნება ერგნეთის ბაზრობა? – ამის თაობაზე „ახალ თაობას“ პარლამენტის ყოფილი წევრი ლიახვის ხეობიდან **გურამ ვახტანგაშვილი** ესაუბრა.

***– ბატონო გურამ, ცხინვალის რეგიონში საოკუპაციო ხაზის სიახლოვეს ერთ-ერთ სოფელში ქართველმა სამოქალაქო პირებმა პატრულირება დაიწყეს. როგორ აფასებთ ამ ფაქტს, რა შედეგი შეიძლება მოიტანოს სამოქალაქო პატრულირებამ?***

– სამოქალაქო პატრულირება არაფრის მომცემი არ იქნება. შეიძლება რაღაც პროვოკაციაში გადაიზარდოს. პატრულები – ახალგაზრდები შეიძლება დააკავონ, ან რაღაც შეიძლება მოხდეს. არა მგონია სამოქალაქო პატრულირებამ რაიმე შეცვალოს. უბრალოდ, საშიშროებაა, რომ რაღაც პროვოკაცია არ მოხდეს, თორემ მეტს აბსოლუტურად არაფერს შეცვლის.

***– მიმდინარე პროცესში მინიმალური ცვლილება ხომ მაინც არის. მუდმივად ხდება საზღვრის გადმოწევა, გატაცებები და არაფერი იცვლება. ამჯერად რაღაც ცვლილება ხომ მაინც მოხდა?***

– ცვლილება მოხდა, გულანთებული ქართველები არიან. ყველას აწუხებს ტერიტორიების წართმევა და საზღვრის გავლება. გამუდმებით აქეთ მოიწევენ. ეს საქართველოს ნებისმიერ მოსახლეს აწუხებს, მაგრამ ამ პატრულირებით არაფერი შეიცვლება. ჩემი დიდი გამოცდილებით ვიცი, რომ ოსები ადმინისტრაციული საზღვრის აქეთ არ გადმოიწევენ. შიგნით სოფლები მკაცრად იყო გამიჯნული ერთმანეთისაგან. გამოცდილებით ვიცი, საბჭოთა კავშირის დროს გავლებული ადმინისტრაციული ე.წ. წოდებული საზღვრის აქეთ ერთი მეტრითაც არ გადმოიწევიან.

***– ბატონო გურამ, ადამიანები აცხადებენ, რომ მათ ნათესებში, ვაშლის ბაღებსა და სახლის ეზოებში აკეთებენ მავთულხლართებს, წლების განმავლობაში თვითონ ხნავდნენ. თქვენ ამბობთ, ერთი მეტრითაც არ გადმოუწევიათო. ვეღარ გავიგე, რა ხდება.***

– მე ვიცი, რომ ისინი უმიზეზოდ არ გადმოსწევენ. გორის რაიონის მხარეს არსად არ გადმოსწიეს. შემიძლია ჩაგიყვანო და გაჩვენო. 90-იანი წლების შემდეგ იმ სოფლების მოსახლეობა გარკვეულ ტერიტორიებს საძოვრებად იყენებდა. შეიძლება მაშინ არც ჩაუხედავთ, სად გადიოდა ადმინისტრაციული საზღვარი. ისე გამომდის, ჩვენს მოსახლეობას ვამტყუნებ. ჩემთვის აქეთაც და იქითაც, მთლიანად ჩვენი ტერიტორიაა. ჩვენი საზღვარია როკის გვირაბს იქით. მე საგზაოს უფროსი ვიყავი და ვიცი, რომ როკის გვირაბიდან 170 მეტრის იქით არის საქართველოს საზღვარი, სადაც მე თვითონ დავაყენე წარწერა „გრუზინსკაია სსრ“.



***– ბატონო გურამ, რა მიზეზზე საუბრობთ? სააკაშვილმა „სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაცია“ რომ შექმნა, ოღონდ შეგვირიგდითო, გარკვეული ტერიტორიები მიამატა ძველ ადმინისტრაციულ საზღვარში არსებულს. ახლა იმ სააკაშვილის მიერ „მიცემული“ ახალი ტერიტორიების შეღობვა ხდება? რეალურად, რუსები უკვე ბაქო-თბილისი-სუფსის ნავთობსადენს აკონტროლებენ რამდენიმე ადგილზე. მთლიანი კონტროლი უნდათ. ძველი ადმინისტრაციული საზღვარი იქამდე იყო?***

– ძველი ადმინისტრაციული საზღვრები სადაც იყო, სოფლებსა და რაიონებს შორის ცნობილია, მაგრამ ადმინისტრაციული საზღვრის მუდმივ გადმოწევას თავისი მიზეზი აქვს. ოსების პირველი მოთხოვნაა საზღვრის დადგენა. გარკვეულ ფორმატებში მიმდინარე მოლაპარაკებებზე ოსები ცდილობენ, ქართველები ჩაითრიონ თავიანთი გეგმების შესრულებაში.

***– რას გულისხმობთ?***

– უნდათ, ქართველები დასვან მოლაპარაკების მაგიდასთან, სადაც განხილული იქნება ე.წ. საზღვრების საკითხი, საზღვრების დემარკაცია-დელიმიტარიზაცია რომ გააკეთონ. ხელისუფლება სწორად იქცევა, ამ საკითხში მოლაპარაკებაზე რომ არ მიდის. საოკუპაციო რეჟიმმა შეიძლება ადმინისტრაციული საზღვარი პროვოკაციულად აქეთ გადმოსწიოს, რომ ჩვენები მიიყვანოს ამ საკითხთან დაკავშირებით მოლაპარაკებაზე, სადაც ძველი საბჭოთა კავშირის დროინდელ რუკებს ააფრიალებენ. მუდმივი გადმოწევით უნდათ ხელისუფლება მიიყვანონ იმ ზომამდე, რომ ამ საკითხთან დაჯდეს მოლაპარაკების მაგიდასთან. ხელისუფლება კარგს აკეთებს, რომ არ თანხმდება.

***– თქვენ რომ თქვით, ერთი მეტრითაც არ გადმოუწევიათო...***

– შეიძლება ზოგ ადგილზე გადმოიწიონ, რომ პროვოცირება მოახდინონ და ჩვენი ხელისუფლება მიიყვანონ იმ ზომამდე, ათქმევინონ, აქ კი არა, აქ იყო ცხინვალის რაიონისა თუ ახალგორის რაიონის საზღვრებიო.

***– მინდა ისევ სამოქალაქო პატრულირებას დავუბრუნდე. ვისით შეიძლება სამოქალაქო პატრულირების ჩანაცვლება, პოლიციით?***

– გორის რაიონს კარგად ვიცნობ, ჩემი რაიონი გორის რაიონს ესაზღვრებოდა, ერედვი – ცხინვალს. პოლიცია საოკუპაციო ხაზის ყველა სოფელშია გამაგრებული.

***– ვიცი, მაგრამ რეალურად შედეგი რომ არ არის პოლიციის საოკუპაციო ხაზის გასწვრივ სოფლებში მათი გამაგრებით?***

– ისინი გადმოდიან აქეთ, ან ძროხა გადადის, გადაჰყვებიან იქით, იტაცებენ ბეშუეთიდან და სხვა სოფლებიდან და ამბობენ, აქეთ გადმოვიდნენ, აქედან გაიტაცესო.

***– პოლიციამ რომ დააკავოს ის რუსი სამხედროები, რომლებიც აქეთ გადმოდიან და ადამიანებს იტაცებენ, რა იქნება?***

– ეგეც პროვოკაციას გამოიწვევს.

***– პროვოკაციას ანუ რას გამოიწვევს?***

– იმისთვის გადმოდიან და გადაჰყავთ, იძახიან, ჩვენი საზღვარია და ჩვენს საზღვარზე ჩვენს კონტროლირებად ტერიტორიაზე ნუ გადმოდიანო. თუ ჩვენც დავიჭერთ, ეს უკვე ერთგვარი აღიარება იქნება, რომ შენ იქ საზღვარი გაქვს.

***– ჩვენს კონტროლირებად ტერიტორიაზე თავისუფლად რატომ დასეირნობდნენ შეიარაღებული რუსი ჯარისკაცები?***

– ორივე ტერიტორია ჩვენია. გინდა იქით დაიჭირე, გინდა – აქეთ. ჩვენს პოლიციას ყოველდღე შეუძლია, რუსი სამხედრო დაიჭიროს. ეს კი პროვოკაციას გამოიწვევს.

***– როდესაც უშუალოდ სახლში გივარდებიან და თავხედურად იქცევიან, როცა ნავთობსადენის კონტროლს იწყებენ, ხომ უნდა შეაჩერო. შეიძლება ყოველდღე არ დაიჭირო, მაგრამ ერთხელ ხომ უნდა გააკეთო ეს შენს კონტროლირებად ტერიტორიაზე?***

– ცხინვალიც ჩემი სახლია და ერედვიც. მაშინ იქაც გავაკონტროლოთ.

***– უშუალოდ ჩვენს კონტროლირებად ტერიტორიაზე როცა გადმოდიან და სოფლებიდან იტაცებენ?***

– ჩემთვის არ არის ცნობილი ასეთი ფაქტი, სოფლებიდან გაეტაცებინოთ.

***– ბოლოს რომ გაიტაცეს ორი ახალგაზრდა, ეკლესიაში მიმავალი?***

– ყველა ეკლესია არის მაღლობზე სოფლიდან მოშორებით და იქიდან მიჰყავთ. ჩვენი ხელისუფლება ორ წყალს შუაა. დაიჭიროს, პროვოცირება მოჰყვება. მაშინ იქითაც დაიჭიროს, იქითაც ჩვენი ტერიტორიაა. თუ დააყენებს, პოლიცია უნდა დააყენოს. გამოუვალი მდგომარეობაა. ვითარება მოლაპარაკებით უნდა დარეგულირდეს.

***– სამხედროები რომ დააყენო?***

– მაშინ საზღვრის დაფიქსირებაა. მაგათ უნდათ, ჩვენი მთავრობა რამენაირად ჩაითრიონ. ღმერთმა არ ქნას, საზღვრის საკითხზე მოლაპარაკება გაიმართოს და ჩვენებმა ქართულ სოფლებს შორის საზღვარი დააფიქსირონ. ეს რომ მოხდეს, მერე ერთი კაციც აღარ გადმოვა აქეთ.

***– ე.ი. მხოლოდ მოლაპარაკების გზაა დარჩენილი, მაგრამ რუსეთს მოლაპარაკებაც რომ არ უნდა? რუსი პოლიტიკოსები პირდაპირ აცხადებენ, ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის აღიარებას უკან არ წავიღებთ, ამ ტერიტორიებს თავი დავანებოთ და ისე ვილაპარაკოთო. ეგ რა მოლაპარაკებისთვის მზადყოფნაა?***

– ერთადერთი, მოლაპარაკების გზაა დარჩენილი. ადრეც მითქვამს, ერგნეთის ბაზრობის ერთ-ერთი მოწილე ვიყავი. 20-30 ათასი კაცი მოდიოდა იმ ბაზრობაზე, ურთიერთობა იყო, ქართველებსა და ოსებს შორის ნდობა იყო. ახლა მე სქემა მაქვს შემუშავებული, როგორ უნდა აღვადგინოთ ერგნეთის ბაზრობა. იქიდან ოსები ხშირად გადმოდიან ლარსის გზით. მათთან ხშირი შეხვედრები მაქვს და მეუბნებიან, რომ ადამიანების 99.9%-ს უნდა ბაზრობა გაიხსნას. სქემა და რუკა გაკეთებული მაქვს, მთავრობასაც ველაპარაკე.

***– რა პასუხი მიიღეთ?***

– მთავრობაც დაინტერესებულია, მაგრამ გარკვეული არასამთავრობო ორგანიზაციები დაიწყებენ ლაპარაკს, მთავრობა დათმობაზე წავიდაო.

***– ერგნეთის ბაზრობა ჩვენს კონტროლირებად ტერიტორიაზე უნდა შეიქმნას?***

– ერგნეთის მისადგომთან დგას ჩვენი ბლოკპოსტი. იქიდან 2 კილომეტრშია ოსების ბლოკპოსტი.

***– შუა ტერიტორიაზე იქნება ბაზრობა?***

– ნეიტრალურ ტერიტორიაზე უნდა გაიხსნას ბაზრობა, აქედან ჩვენმა პოლიციამ შეუშვას პროდუქცია.

***– თავისუფალი ეკონომიკური ზონის მსგავსი რომ გაკეთდეს.***

– ასეთი რამ უნდა გაკეთდეს, მაგრამ ოსები თავიანთ თავზე ვერ იღებენ პასუხისმგებლობას, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის კარასინის ერთი სიტყვა უნდა, რომ თანახმაა. ცხინვალში ყველა თანახმაა ამ ბაზრობის გახსნაზე. შეიძლება 1-%-მა თქვას, რომ არ უნდა, მაგრამ ყველაზე ძალიან მას უნდა ქართველებთან შერიგება. ისეთ მდგომარეობაში არიან, ფაქტობრივად, წასასვლელი არსად აქვთ. შეუშვან ნეიტრალურ ტერიტორიაზე აქედან ქართული პროდუქტი (მანდარინი იქნება, ვაშლი თუ სხვა რამ), იქიდან ოსებმა შემოუშვან. მყიდველი იქნება და რაღაც პროდუქციის შემომტანი. ხალხი აქედანაც გავა, იქიდანაც შემოვა.

***– იქიდან აღურიცხავი პროდუქტი არ შემოვა?***

– 90-იან წლებში რომ აცხადებდნენ, კონტრაბანდული პროდუქტი შემოდისო, მაშინ ძალოვან სტრუქტურებს უნდოდათ, არ განბაჟებულიყო და კონტროლქვეშ არ მოქცეულიყო. ერგნეთიდან თბილისში ერთ ტომარა ფქვილს ვერ ჩაიტანდი, რამდენიმე პოსტს თუ არ გაივლიდი. უშიშროებას, პოლიციას, ყველას თავისი პოსტი ჰქონდა და ფულს იღებდნენ.

***– ახლა განბაჟება მოხდება?***

– საზღვარი ხომ არ არის, როგორ განაბაჟებ, მაგრამ აქეთ რაც შემოვა, ის უნდა მოაქციო კონტროლის ქვეშ, მისი აღრიცხვა და ფიქსირებული გადასახადი უნდა იყოს. იმის მოფიქრება შეიძლება, როგორ გაკონტროლდეს. საქართველოსა და სომხეთში ხორბალი რუსეთიდან შემოდის. რუსთავის გზაზე ვმუშაობდი და ვხედავ, დღეში 15-20-30 მისაბმელიანი კამაზი მოდის ხორბლით დატვირთული. ამიტომ თუ ბაზრობა გაიხსნება და შემოვა პროდუქცია, ადგილობრივი მოსახლეობაც ისარგებლებს (ოსიც და ქართველიც). აქეთ გადმოსული ოსები მეუბნებიან, ყურები აქეთ გვაქვს, იქნებ გადაწყდესო.

***– მოკლედ, ერგნეთის ბაზრობის გახსნის პერსპექტივა არის?***

– არის, მაგრამ ჩვენს ხელისუფლებაც არ უნდა, არასამთავრობოებმა და ოპოზიციურმა პარტიებმა დაიწყონ ჟივჟივი. მეორეც, აბაშიძე-კარასინის მოლაპარაკებაა საჭირო.

***– თავის დროზე ეს ბაზრობა რუსეთის თანხმობით ხომ არ იყო გაკეთებული, ახლაც რომ ისე გაკეთდეს, ოსები არ შემოვლენ საყიდლად, მოსკოვს დაეკითხებიან?***

– მაშინ ისეთი მკაცრი კონტროლი არ ხდებოდა, როგორც დღესაა. ახლა სხვა სიტუაციაა, მაშინ იქით და აქეთ ბლოკპოსტები არ იყო.

# რატომ იწვევს რუსეთის შეშფოთებას პენსის ტურნე

მარიამ მჭედლიშვილი

აშშ-ის ვიცეპრეზიდენტ მაიკლ პენსის ივლისის ბოლოს დაგეგმილი ვიზიტი საქართველოში უკვე შეფასდა, როგორც საქართველოსადმი ამერიკის ურყევი მხარდაჭერის კიდევ ერთი გამოხატულება.

საქართველოს გარდა, ამერიკელი მაღალი რანგის სტუმარი ესტონეთს ეწვევა. იქ 31 ივლისს იგი შეხვდება ბალტიის სამივე სახელმწიფოს ლიდერებს.

გარდა ამისა, 2 აგვისტოს აშშ-ის ვიცეპრეზიდენტი მონტენეგროში ჩავა, სადაც მონაწილეობას მიიღებს ადრიატიკის ქარტიის სამიტში და ბალკანეთის სხვა ქვეყნების ხელმძღვანელებსაც ესაუბრება.

რუსეთში, როგორც ჩანს, ყველაზე მეტად ამ ტურნეს ბალკანეთის ნაწილი აღელვებთ. დასავლელი ექსპერტები რამდენიმე თვის წინ ვარაუდობდნენ, რომ რუსეთი სიტუაციას გაამწვავებდა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, რომელიც კრემლს თავისი გავლენის ზონად მიაჩნია. გავრცელდა ინფორმაცია იმაზეც, რომ პუტინმა იქ გააძლიერა სპეცსამსახურები ნიკოლაი პატრუშევის მეთაურობით.

ამ ვიზიტის წინ რუსი ექსპერტები ალაპარაკდნენ იმაზე, თითქოს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტს დასავლეთი ბალკანეთის ოკუპირება უნდა. ვაშინგტონი სერბეთის გარშემო გააღვივებს ახალ კონფლიქტებს იმისათვის, რომ ბალკანეთის დასავლეთ ნაწილზე კონტროლი დაამყაროს.

ეს რეგიონი რთულია იმითაც, რომ იქ რამდენიმე გაყინული კონფლიქტია. ზოგიერთი მათგანის ხელახალი გაღვივების მცდელობა შეინიშნება.

რუსეთის ექსპერტების თქმით, სირიისა და უკრაინის შემდეგ აშშ-სა და რუსეთს შორის უთანხმოების მთავარი საგანი ბალკანეთის რეგიონია.

ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის დაძაბულობის ზრდის პარალელურად, გრძელდება გამოძიება აშშ-ის პრეზიდენტის რუსეთთან შესაძლო გარიგებაზე წინასაარჩევნოდ. აშშ-ში არ გამორიცხავენ ტრამპის იმპიჩმენტს. ამ შემთხვევაში პრეზიდენტი მაიკლ პენსი ხდება.

„ვაშინგტონ პოსტი“ კავშირს ხედავს ტრამპის გაპრეზიდენტებასა და პუტინის აღზევებას შორის.

გამოცემის ცნობით, 2016 წლის 9 ივლისს გაიმართა შეხვედრა, რომელსაც ტრამპის ოჯახის 2 წევრი, ასევე რუსი იურისტი და მისი მრავალრიცხოვანი გუნდი ესწრებოდა.

„ვაშინგტონ პოსტი“ ყურადღებას ამახვილებს ამ შეხვედრის წარმოშობით ქართველ მონაწილე აკა კაველაძეზე.

კაველაძე 1990 წლიდან ეწევა საეჭვო საქმიანობას აშშ-ში. მისმა კომპანიამ დააფუძნა 2 ათასზე მეტი კორპორაცია დელავერში ანონიმური პირების სახელით. ეს პირები იყვნენ კლიენტები რუსეთიდან. ისინი გამოიყენებოდა საბანკო ანგარიშების გასახსნელად. აშშ-ის საანგარიშო პალატამ 2000 წელს დაადგინა, რომ ამ კორპორაციების საბანკო ანგარიშებიდან დიდი თანხები იგზავნებოდა. დელავერის რბილი კანონმდებლობა ხელს უწყობდა იმას, რომ ანონიმებს რუსეთიდან გადმოერიცხათ ფული აშშ-ში და უკან.

გამოცემის თქმით, არსებობდა რუსეთის სპეცსამსახურების მაღალჩინოსნების გამდიდრებისა და დასავლეთზე ზემოქმედების სქემები. ერთ-ერთი მათგანი იყო სახელმწიფო სახსრებით ენერგომომპოვებელი კომპანიების ფასიანი ქაღალდების შეძენა და გაყიდვა, ასევე ცრუ კომპანიების შექმნა ფულის ბრუნვის მიზნით. ამ ფულით რუსი ანონიმები ყიდულობდნენ კომპანიებსა და უძრავ ქონებას.

ამ სისტემაში უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა საბჭოთა კავშირში დაბადებულმა კაველაძემ, რომელიც შემდეგ ევროპასა და აშშ-ში საქმიანობდა.

ამ სისტემის საშუალებით 2 ათეული წელია, რუსი ოლიგარქები ანონიმურად და თავისუფლად მოქმედებდნენ დასავლეთის უძრავი ქონების ბაზრებზე ნიუ იორკში, მაიამისა და ლონდონში.

„ვაშინგტონ პოსტის“ აზრით, დასავლეთის მთავრობებსა და საფინანსო ინსტიტუტებს რომ ამ დანაშაულებრივი სისტემის წინააღმდეგ ემოქმედათ, ხელისუფლებაში ვერც ტრამპი მოვიდოდა და ვერც პუტინი.



# ქართული ჯარი ქართულ პროდუქტზე უარს ამბობს?!

ქართული ჯარი სრულად იმპორტირებული მზა საკვები პროდუქტებით მომარაგდება.

რამდენიმე დღის წინ გაირკვა, რომ ქართულ ჯარში ქართული წარმოების საქონლის ხორცი უკრაინულმა ჩაანაცვლა, ახლა კი ცნობილი ხდება, რომ ხორცის შემდეგ იმპორტირებული იქნება „საველე ულუფა“, რომლის შესყიდვასაც თავდაცვის სამინისტრო პერიოდულად ახდენს.

თავდაცვის სამინისტროს შპს სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფის მიერ გამოცხადებულ ტენდერში შპს „უხვმა“ გაიმარჯვა, რომელმაც აღმოსავლეთ საქართველოში მდებარე ქართული ჯარის დანაყოფები საქონლის ხორცით 6 თვის განმავლობაში უნდა მოამარაგოს. ტენდერის ღირებულება მილიონ 640 ათასი ლარია. გამარჯვებული კომპანიის სატენდერო წინადადებაში კი მითითებულია, რომ კომპანია ხორცს უკრაინიდან შემოიტანს.

ქართული ჯარის ქართულ ხორცზე გადაყვანის საპილოტე პროექტი 2015 წლის ბოლოს დაიწყო. მაშინ ტენდერში ორმა კომპანიამ გაიმარჯვა, რომლებიც საქართველოს მასშტაბით ჯარების ქვედანაყოფებს ქართული პროდუქციით ამარაგებდნენ.

– კვებაში დაახლოებით 40 მილიონამდე ლარს ვხარჯავთ და ამ თანხის უზარმაზარი ნაწილი მიდის ქვეყნის გარეთ. ვფიქრობთ, რომ ეს აბსოლუტურად არასწორია, მითუმეტეს სოფლის მეურნეობის იმ პროგრამების პირობებში, რომლებიც ქვეყანაში ბოლო სამი წლის განმავლობაში დაიწყო..., – აცხადებდა 2015 წელს თავდაცვის მაშინდელი მინისტრი თინა ხიდაშელი.

მისივე თქმით, ეტაპობრივად ჯარი სრულად ქართულ პროდუქტზე უნდა გადასულიყო.

ირკვევა, რომ თავდაცვის სამინისტრომ



მორიგი ტენდერი ჯარის „საველე ულუფით“ უზრუნველყოფაზე 18 ივლისს გამოაცხადა. განაცხადების მიღება 8 აგვისტომდე გაგრძელდება. ტენდერის ღირებულება 3 მილიონ 840 ათასი ლარია. ტენდერის მოთხოვნაა, რომ მწარმოებელ კომპანიას უნდა გააჩნდეს არანაკლებ 25 წლიანი გამოცდილება ანალოგიური საქონლის წარმოების სფეროში და ბოლო 3 წლის განმავლობაში უნდა ჰქონდეს 4 მილიონიანი ბრუნვა.

შეფუთული მზა საკვების მწარმოებელი კომპანია „ნაციონალური დელიკატესის“ დირექტორი ოთარ სიმონიშვილი, რომელსაც ტენდერში მონაწილეობის სურვილი აქვს, აცხადებს, რომ ტენდერის მოთხოვნას ვერცერთი ქართული წარმოება ვერ დააკმაყოფილებს და თავიდანვე ცნობილია, რომ გამარჯვებული იმპორტიორი კომპანია გახდება.

მისივე თქმით, წინა ტენდერის მიხედვითაც ქართული ჯარი იმპორტირებული ამერიკული მზა საკვებით მარაგდებოდა.

ოთარ სიმონიშვილის თქმით, თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებთან ჰქონდა კომუნიკაცია და შეხვედრა. მათი მხრიდან იყო ინტერესი, რომ ჯარის მომარაგება ქართული პროდუქციით მომხდარიყო, თუმცა შედეგად ტენდერის პირობების მიხედვით ქართული წარმოების წარმატება გამორიცხულია.

– ვერცერთი ქართული წარმოება ვერ დააკმაყოფილებს მოთხოვნებს, რადგან 25 წლიანი გამოცდილება არავის აქვს, გამოდის, რომ ისევ იმპორტიორი კომპანია გაიმარჯვებს, და ტენდერში მიღებული თანხები ქვეყნიდან გავა, – აცხადებს სიმონიშვილი

მისივე თქმით, „ნაციონალური დელიკატესი“ საერთაშორისო გამოცდილებისა და პრაქტიკის გათვალისწინებით 2016 წელს დაარსდა, წარმოების შექმნისთვის 1 მილიონ ლარამდე ინვესტიცია დაიხარჯა. კომპანიას აქვს საერთაშორისო სტანდარტების საწარმო, შესაბამისი ხარისხის დამადასტურებელი სერტიფიკატები, საწარმოო ხაზებით და დანადგარებით.

ნედლეულის შეძენა ადგილობრივ ბაზარზე ხდება და მომწოდებლები ძირითადად სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ადამიანები არიან. ტენდერში წარმატების შემთხვევაში კი დამატებით 2,5 მილიონის პროდუქციის ადგილობრივ ბაზარზე შესყიდვა, ხელფასის სახით კი მხოლოდ რეგიონში 400 ათასი ლარის გაცემა მოხდებოდა, რადგან საწარმო დედოფლისწყაროს რაიონშია. ამის პარალელურად კი გაიზრდებოდა ბიუჯეტში შენატანები.

ბიზნესმენის განცხადებითვე, კომპანიას გააჩნია საერთაშორისო სერტიფიკატები არსებობს ვადიანობის დამადასტურებელი სერტიფიკატი, რომელიც თურქეთის ერთ-ერთი საერთაშორისო ლაბორატორიისგან არის მიღებული და პროდუქციის შენახვა განსაზღვრულია 30 თვით.

პროდუქციის შენახვას უზრუნველყოფს დამზადების ტექნოლოგია და სპეციალური 3 და 4-შრიანი შეფუთვა, რომელიც იცავს პროდუქტს გარემო პირობებისგან და არ შედის რეაქციაში მასთან.

„ნაციონალური დელიკატესის“ მენეჯმენტმა სატენდერო მოთხოვნები დავების განხილვის საბჭოში უკვე გაასაჩივრა და მისი მხრიდან რეაგირებას ელოდება.

**კომერსანტი**

## რთველი 2017 — სახვანჭკარე ჯიშებზე სუბსიდია შენარჩუნდება

მთავრობამ 2017 წლის რთველის ხელშეწყობის მიზნით სპეციალური სამთავრობო განკარგულება მიიღო.

სამინისტროს ინფორმაციით, კახეთის რეგიონში 2017



წლის რთველზე ხარისხიან, კონდიცირებულ ყურძენზე სუბსიდიის გაცემის საჭიროება არ არსებობს და, განკარგულების თანახმად, აღარ გაიცემა. მთავრობის გადაწყვეტილებით, ღვინის კომპანიები, რომლებიც საბრენდე სპირტისა და კონცენტრირებული ყურძნის ტკბილის წარმოების მიზნით რქაწითელსა და კახური მწვანის ჯიშის 1 კგ ყურძენს არანაკლებ 70 თეთრად შეისყიდიან, სახელმწიფოსგან დამატებით 35 თეთრს მიიღებენ.

2017 წლის რთველის სეზონზე სუბსიდია შენარჩუნდება რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში სახვანჭკარე ჯიშებზე – ალექსანდროულსა და მუჯურეთულზე – 1კგ-ზე გაიცემა 2 ლარი.

აღსანიშნავია, რომ 2019 წლიდან შეიზღუდება რაჭა-ლეჩხუმის რეგიონიდან სახვანჭკარე ჯიშების (მუჯურეთული, ალექსანდროული) სხვა რეგიონში გადამუშავების მიზნით გატანა. მთავრობის გადაწყვეტილება – 2017 წლის რთველის ფარგლებში მოახდინოს მუჯურეთულისა და ალექსანდროულის სუბსიდია – რაჭაში ღვინის გადამამუშავებელი საწარმოების განვითარების მხარდაჭერას ითვალისწინებს.

2017 წლის რთველის ორგანიზებულად ჩატარების უზრუნველსაყოფად, განკარგულების თანახმად, შეიქმნება საკოორდინაციო შტაბი სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს, სოფლის მეურნეობის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების, ააიპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს და სახელმწიფო რწმუნებულების – გუბერნატორების (კახეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონები) წარმომადგენლების შემადგენლობით.

ყურძნის რეალიზაციისთვის თვითმმართველ ქალაქებში გამოიყოფა სპეციალური ადგილები. წარმოების გაზრდის ხელშეწყობის მიზნით, ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების მწარმოებელი კომპანიებისათვის, შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში, გაგრძელდება სესხების გაცემა საბრუნავი საშუალებების მიზნობრიობით.

**ბიზნესმედია**

## „სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს“

### ბიზნესომბუდსმენი თამბაქოს სტანდარტული შეფუთვის გადავადებას აფასებს

– სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს, – ასე ეხმაურება ბიზნესომბუდსმენი ზურაბ ძნელაშვილი პარლამენტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, რომლითაც თამბაქოს ნაწარმის ერთგვაროვანი შეფუთვის შემოღება 5 წლით გადავადდება.

ზურაბ ძნელაშვილი ამბობს, რომ პარლამენტის გადაწყვეტილება დადებითია, მაგრამ ასეთი ნაბიჯების გადადგმისას მეტი სიფრთხილე და გონივრული ვადებია საჭირო, იმისთვის, რომ ბიზნესმა ახალ რეგულაციებზე ადაპტირება მოასწროს.

– როდესაც აღნიშნული ცვლილებები განიხილებოდა, ბიზნესომბუდსმენის აპარატი ყოველთვის აფიქსირებდა ამ პოზიციას, რომ არ შეიძლება ამ მასშტაბის ცვლილებებისთვის დადგინდეს ასეთ მცირე ვადები. იცით, რომ 2018 წლის პირველ იანვარს შედიოდა ძალაში სტანდარტული შეფუთვის ვალდებულება, ეს იმ პირობებში, როდესაც მთავრობას ჯერ არ აქვს დამტკიცებული შეფუთვის ნორმა. სამწუხაროდ, მაშინ პარლამენტმა არ გაითვალისწინა ბიზნესომბუდსმენის შენიშვნები.



კარგია, რომ ახლა პარლამენტმა ახალი ინიციატივა დააყენა და მხარი დაუჭირა ამას. მაგრამ ჯობია, რომ პარლამენტი მეტი სიფრთხილით მოეკიდოს მსგავსი გადაწყვეტილებების მიღებას. როდესაც არის რაღაც რეგულაცია აუცილებლად მისაღები საზოგადოებრივი თუ სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, ამ გადაწყვეტილების მიღებას წინ ვერავინ დაუდგება, მაგრამ აქ არის საუბარი გონივრული ვადების დაწესებაზე, რომ ბიზნესმა ელემენტარულად მოასწროს ადაპტირება ამ გადაწყვეტილებაზე და არ ჩავარდეს გამოუვალ მდგომარეობაში, – აცხადებს ზურაბ ძნელაშვილი.

**ბიზნესმედია**

## შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტს ახალი უფროსი ჰყავს



ფინანსთა მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებთან სამუშაო შეხვედრა გამართა და მათ დეპარტამენტის ახალი უფროსი წარუდგინა.

ამ პოსტს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის უფროსის მოადგილე ვახტანგ ლაშქარაძე შეითავსებს.

სამუშაო შეხვედრაზე საუბარი წარიმართა საქართველოს საბაჟოს სისტემაში არსებულ მდგომარეობასა და სამომავლო გეგმებზე, საქართველოს ეკონომიკური საზღვრის დაცვის ღონისძიებების, მათ შორის, კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლის გაუმჯობესებაზე, მიმდინარე რეფორმებსა და საერთაშორისო პროექტებზე.

აღინიშნა საქართველოს საბაჟოს მნიშვნელოვანი როლი საერთაშორისო ვაჭრობის, ტურიზმის და სხვა სექტორების ხელშეწყობის მიმართულებით.

შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის უფროსის თანამდებობას ვლადიმერ ხუნდაძე იკავებდა.

**ბიზნესმედია**

## 31 ივლისს ბორდოში გამოფენა „საქართველო — მეღვინეობის აკვანი“ გაიხსნება



31 ივლისს საფრანგეთში, ქალაქ ბორდოში, ღვინის ცივილიზაციის ცენტრში გამოფენა გაიხსნება, სახელწოდებით: „საქართველო – მეღვინეობის აკვანი“.

მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ საქართველო არის პირველი მიწვეული ქვეყანა, რომელიც ღვინის ცივილიზაციის ცენტრში მევენახეობა-მეღვინეობის გამოფენათა ციკლს გახსნის და ღვინის ცივილიზაციის მუზეუმის საპატიო მასპინძელი იქნება.

გამოფენა 4 თვეს გაგრძელდება და ნოემბრის ბოლოს დაიხურება. ეროვნულმა მუზეუმმა უკვე მოამზადა ექსპოზიცია, რომელსაც დამთვალიერებელი ქალაქ ბორდოში, ღვინის ცივილიზაციის ცენტრში იხილავს.

გამოფენაზე ქართული მეღვინეობის კულტურის მატერიალური ძეგლების გარდა, ჩვენი მეღვინეობის დღევანდელობაზეც იქნება საუბარი. კერძოდ იმაზე, რომ ბოლო წლებში მსოფლიოში ქართული ღვინის გაყიდვების მაჩვენებელი ძალიან გაიზარდა.

**ბიპიენი**

# რუსთავი 2-ის შენობაში ხანძრის გაჩენის ფაქტზე გამოძიება დაიწყო

სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2-ის შენობაში ხანძრის გაჩენის ფაქტზე გამოძიება დაიწყო. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მიმდინარეობს გამოძიება სსკ-ის 187-ე მუხლით, რაც ნივთის დაზიანებას ან განადგურებას გულისხმობს.

დამწვარია 45 კვმ-მდე ფართი.

# საბაჟო-გამშვებ პუნქტებში ნარკოტიკული და ფსიქოტროპული მედიკამენტები აღმოაჩინეს



11-16 ივლისს საბაჟო გამშვებ პუნქტებში „სარფი“, „ბათუმის აეროპორტი“, „წითელი ხიდი“ და „სადახლო-საავტომობილო“, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, ნარკოტიკული (31 აბი) და ფსიქოტროპული (891 აბი) ნივთიერებების შემცველი მედიკამენტები, ასევე ნარკოტიკული ნივთიერება მარიხუანა (3.25 გრამი) აღმოაჩინეს.

საქმეთა მასალები შემდგომი რეაგირების მიზნით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაეცა.

# მერაბ ღოღობერიძისა და ირაკლი ჩხვირკიას სასამართლო პროცესი 7 აგვისტომდე გადაიდო



11-12 მარტის აქციების ორგანიზებაში ბრალდებულების მერაბ ღოღობერიძისა და ირაკლი ჩხვირკიას სასამართლო პროცესი გუშინაც გადაიდო. ეს უკვე მეორე შემთხვევაა, როცა აღნიშნული პირების საქმეზე ჩანიშნული პროცესი არ გაიმართა. მიზეზად ერთ-ერთი ბრალდებულის მერაბ ღოღობერიძის ჯანმრთელობის მდგომარეობა დასახელდა.

შემდეგი სასამართლო სხდომა 7 აგვისტოს ჩაინიშნა.

# არჯევნის ტყის მასივში გაჩენილი ხანძარი ლოკალიზებულია



შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, დაბა წაღვერის მახლობლად, არჯევნის ტყის მასივში გაჩენილი ხანძარი ლოკალიზებულია და მისი გავრცელების საშიშროება არ არსებობს. ადგილზე მობილიზებული იყვნენ შსს-ს წარმომადგენლები

და სახანძრო-სამაშველო ჯგუფები. ცეცხლის ჩაქრობის ღონისძიებაში 100-ზე მეტი მეხანძრე-მაშველი და სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენი მონაწილეობდა.

# გონიოში ზღვამ მამაკაცის ცხედარი გამორიყა

გონიოში ზღვამ გუშინ, დილით, 35 წლამდე მამაკაცის ცხედარი გამორიყა.

აღნიშნული ფაქტი „ნიუპოსტს“ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოშიც დაუდასტურეს.

# პროკურატურამ „სავაჭრო სახლ ბავშვთა სამყაროს“ დირექტორი და უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელი დააკავა

საქართველოს პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის თანამშრომლებმა, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გაცემული განჩინების საფუძველზე, სახანძრო უსაფრთხოების წესის დარღვევის ფაქტზე ს.ს. „სავაჭრო სახლ ბავშვთა სამყაროს“ დირექტორი გ.მ, ხოლო სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტზე ამავე საზოგადოების შიდა უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელი მ.თ დააკავეს, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ მთავარი პროკურატურიდან აცნობეს.

– 2017 წლის 30 იანვარს, ღამის საათებში, ქ.თბილისში, თევდორე მღვდლის ქ. 7-ში მდებარე ს.ს. „სავაჭრო სახლი ბავშვთა სამყაროს“ შენობის ნაწილს (ე.წ. „ბაზრობა ნიუ მოლი“) ცეცხლი გაუჩნდა. საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ სახანძრო უსაფრთხოების წესების დარღვევისა და სამსახურებრივად პასუხისმგებელი პირის გულგრილობის გამო, სახანძრო-სამაშველო სამსახურის ადეკვატური რაოდენობის ძალებისთვის შეუძლებელი აღმოჩნდა ხანძრის ლოკალიზება „ბაზრობა ნიუ მოლის“ სრული



ფართობის ნაწილში და ჩაქრობა. შედეგად, ხანძარი გავრცელდა „ბაზრობა ნიუ მოლის“ მთელ ტერიტორიასა და სავაჭრო ცენტრ „ბავშვთა სამყაროს“ შენობაში, რამაც ხსენებული შენობების, მათში არსებული სარეალიზაციო საქონლისა და ინვენტარის განადგურება გამოიწვია.

გ.მ. დაკავებული იქნა საქართველოს სსკ-ის 243-ე მუხლის მეორე ნაწილით, ხოლო მ.თ. საქართველოს სსკ-ის 2201 მუხლის მეორე ნაწილით. დაკავებულ პირებს ბრალი საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში წარედგინებათ, რის შემდგომაც საქართველოს პროკურატურა სასამართლოს ბრალდებულების მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე მიმართავს, – ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

# უჩა ნანუაშვილი: „მთავარმა პროკურატურამ აფგან მუხთარლის საქმეზე სახალხო დამცველის წინადადება ნაწილობრივ გაიზიარა“



სახალხო დამცველის განცხადებით, მთავარმა პროკურატურამ ნაწილობრივ გაიზიარა სახალხო დამცველის წინადადება აზერბაიჯანელი ჟურნალისტის აფგან მუხთარლის დაზარალებულად ცნობისა და მის მიმართ პოლიციის თანამშრომლების მიერ განხორციელებული შესაძლო დანაშაულის ფაქტზე მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის პროკურატურის გამომძიებლებისთვის გადაცემის თაობაზე.

სახალხო დამცველის რეკომენდაციით, პროცესუალური უფლებებით სარგებლობის უზრუნველსაყოფად, აფგან მუხთარლის უნდა მინიჭებოდა დაზარალებულის სტატუსი.

– 2017 წლის 21 ივლისს სახალხო დამცველს საქართველოს მთავარი პროკურატურიდან წერილობით აცნობეს, რომ აფგან მუხთარლის საქმე გამოსაძიებლად საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილს გადაეცა. რაც შეეხება ჟურნალისტის დაზარალებულად ცნობის საკითხს, მთავარი პროკურატურის განმარტებით, ამგვარი გადაწყვეტილების მიღება მოხდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას. სახალხო დამცველი არ იზიარებს აღნიშნულ პოზიციას და მიიჩნევს, რომ სახეზეა მუხთარლისთვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭების წინაპირობები. სახალხო დამცველი აგრძელებს გამოძიების მიმდინარეობაზე ზედამხედველობას და მის ცალკეულ ასპექტებზე საკუთარ შეფასებას საზოგადოებას პერიოდულად მიაწვდის, – ნათქვამია სახალხო დამცველის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

# ოჯახში ძალადობაში ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა

ოჯახის წევრების მიმართ ძალადობაში ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს მთავარი პროკურატურიდან აცნობეს, პროკურატურამ ოჯახის წევრების მიმართ ძალადობისა და ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე ხარისხის დაზიანების ფაქტზე ა.გ.-ს ბრალდება წარუდგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126 პრიმა მუხლის პირველი ნაწილით და 11 პრიმა 118-ე მუხლის პირველი ნაწილით.

– გამოძიებით დადგინდა, რომ 2017 წლის 25 ივლისს, დაახლოებით 12 საათზე, ქ. ახალციხეში არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფმა ა.გ.-მ ყოფილი მეუღლის დედას ლ.რ.-ს, მისივე საცხოვრებელი სახლის ეზოში ზურგის არეში ელექტროშოკი მიადო, აეროზოლი შეასხურა და ხელის კვრით წააქცია, რის შედეგადაც მიაყენა სხეულის დაზიანება, შემდეგ კი ყოფილ მეუღლეს ო.რ.-ს ტრავმატული პისტოლეტის თავის არეში დარტყმით და რამდენიმე გასროლით სხეულის სხვადასხვა ადგილებში მიაყენა მრავლობითი დაზიანებები, რის შემდეგაც შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. ო.რ. სასწრაფო სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით, გადაყვანილ იქნა საავადმყოფოში, – განმარტავენ მთავარ პროკურატურაში.

მათივე ინფორმაციით, ა.გ. სამართალდამცველებმა ფაქტის ჩადენიდან რამდენიმე საათში დააკავეს. მას ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით (ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორეს მიმართ ძალადობა რამაც ფიზიკური ტკივილი გამოიწვია) და 11 პრიმა 118-ე მუხლის პირველი ნაწილით (ოჯახის წევრის მიმართ ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება) წარედგინა.





სასამართლომ პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე ა.გ.-ს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

# მუქარა 14 წლის მოზარდის მიმართ — შსს-მ გამოძიება დაიწყო

14 წლის მოზარდისადმი მუქარის შემცველი ვიდეოს გავრცელების ფაქტზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება დაიწყო.

უწყებაში „ნიუპოსტს“ უთხრეს, რომ გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც გულისხმობს სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის დაზიანების ანდა ქონების განადგურების მუქარას, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში.

აღნიშნული ქმედება ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით 120-დან 180 საათამდე, გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე.

სოციალურ ქსელში „პროვოკატორის“ სახელით ვიდეომიმართვა გავრცელდა, რომლის ავტორი კონკურენტი ბლოგერის ცემასა და მოკვლაზე 500 დოლარს აწესებს, თანხას კი იმ შემთხვევაში გადაიხდის, თუ შემსრულებელი ამ პროცესის ვიდეოს გადაიღებს და სოციალურ ქსელში ატვირთავს.



# სამი დაღუპული და ორი დაშავებული — ავტოავარია კახეთში

ყვარლის რაიონის სოფელ გავაზში მსუბუქი ავტომობილი ხეს შეეჯახა, რის შედეგადაც სამი ადამიანი დაიღუპა. ავტომობილში სულ 5 ადამიანი იმყოფებოდა. ორი მათგანი მძიმე მდგომარეობაში ყვარლის საავადმყოფოში გადაიყვანეს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ავტომობილი დიდი სიჩქარით მოძრაობდა, რა დროსაც მძღოლმა მართვა დაკარგა და გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა. სასწრაფო დახმარების ბრიგადამ ორი ადამიანი ყვარელში, სამედიცინო დაწესებულებაში გადაიყვანა.

როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურში განუცხადეს, საქმეზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-7 ნაწილით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც გამოიწვია ორი ან ორზე მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა.

# ტრამპს გენპროკურორის მოხსნა სურს



აშშ-ის პრეზიდენტმა ტრამპმა განაცხადა, რომ გენერალური პროკურორი სეშნსი თავის მოვალეობას თავს ვერ ართმევს. პრეზიდენტს სეშნსის მოხსნა სურს.

სენატორმა შუმერმა ტრამპი გააფრთხილა, რომ კონგრესის გვერდის ავლით სეშნსის მოხსნის ნებისმიერი მცდელობა მისთვის ცუდად დასრულდება. ამავე პოზიციას იზიარებენ სენატორი კორკერი და სხვა გავლენიანი პოლიტიკოსები.

# ბობ კორკერი: „სენატი რუსეთის წინააღმდეგ სანქციებს მხარს დაუჭერს“



ამერიკელმა სენატორმა ბობ კორკერმა განაცხადა, რომ სენატი მხარს დაუჭერს კანონპროექტს რუსეთისათვის დამატებითი სანქციების დაწესების თაობაზე.

კანონში შენარჩუნებული იქნება მუხლი, რომლის თანახმადაც, პრეზიდენტს კონგრესის თანხმობის გარეშე სანქციების შემცირების ან გაუქმების უფლება ჩამოერთმევა. კორკერმა არ გამორიცხა, რომ კანონპროექტიდან შესაძლოა ამოვარდეს მუხლი ჩრდილოეთ კორეის შესახებ, მაგრამ რუსეთის მიმართ დამატებითი სანქციების შემოღების საკითხი ხელუხლებლად დარჩება.

– დარწმუნებული ვარ, რომ სენატი ამ კანონპროექტს ძალიან სწრაფად მიიღებს, – აცხადებს კორკერი.

# პუტინმა რუსეთ-სომხეთის ხელშეკრულებას ხელი მოაწერა



რუსეთის დუმამ და სომხეთის პარლამენტმა რუსეთ-სომხეთს შორის ხელშეკრულების რატიფიცირება მოახდინეს. მისი ძალით, იქმნება რუსეთ-სომხეთის ერთიანი სამხედრო დაჯგუფება.

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა შეთანხმებას ხელი მოაწერა. ამრიგად, ის ოფიციალურად შევიდა ძალაში.

# რაულ ვალენბერგის ოჯახი ფსბ-ს სასამართლოში უჩივლებს



შვედი ბანკირისა და დიპლომატის რაულ ვალენბერგის ოჯახი რუსეთის ფედერალური უშიშროების სამსახურს (ფსბ) სტრასბურის სასამართლოში უჩივლებს.

ვალენბერგი მეორე მსოფლიო ომის დროს უნგრეთში შვედეთის ელჩი იყო. ხელისუფლებაში უნგრელი ნაცისტების ბელად ფერენც სალაშის მოსვლის შემდეგ ებრაელთა დევნა დაიწყო. ვალენბერგმა უამრავი ებრაელი გადაარჩინა. ის მათ შვედეთის პასპორტებს ურიგებდა და უნგრეთიდან გაჰყავდა.

1945 წელს ვალენბერგი გაქრა. საბჭოთა მთავრობა აცხადებდა, რომ შვედი დიპლომატი სალაშის მომხრეთა მსხვერპლი გახდა. რიგი ემიგრანტული გამოცემა ამტკიცებდა, რომ ვალენბერგი საბჭოთა ჩეკისტებმა დააკავეს და სსრკ-ში გადაიყვანეს.

– ის, თუ რატომ დააპატიმრეს ვალენბერგი, დღემდე გამოცანად რჩება, – წერდა ცნობილი რუსი მწერალი იულიან სემიონოვი.

სსრკ-ის დაშლის შემდეგ დადასტურდა, რომ ვალენბერგი მართლაც საბჭოთა ჩეკისტებმა დააპატიმრეს და საბჭოთა კავშირში გადაიყვანეს. შვედი დიპლომატი საბჭოთა სამხედრო კონტრდაზვერვამ (სმერში) დააკავა, სათანადო ბრძანება კი სმერშის მაშინდელმა შეფმა ვიქტორ ავაკუმოვმა გასცა. თანახმად ოფიციალური ინფორმაციისა, შვედი დიპლომატი 1947 წელს დაიღუპა. მიუხედავად ამისა, ფსბ, როგორც სუკ-ის სამართალმემკვიდრე, უარს აცხადებს, რათა ვალენბერგის ოჯახს მისი საბჭოთა ციხეში ყოფნის დეტალები გააცნოს.

ვალენბერგებსაც სხვა გამოსავალი არ დარჩათ, გარდა იმისა, რომ ფსბ-სათვის სასამართლოში ეჩივლათ.

# ჰამაზი ტერორისტული ორგანიზაციების სიაში დატოვეს



ევროსასამართლომ ორგანიზაცია ჰამაზი ტერორისტული ორგანიზაციების სიაში დატოვა. ამრიგად ევროკავშირის ტერიტორიაზე ჰამაზის ანგარიშები კვლავაც გაყინულია, მის წევრებს კი ევროკავშირის ქვეყნებში მოგზაურობა ეკრძალებათ.

როგორც კი ისინი ევროკავშირში შემავალი ქვეყნების ტერიტორიაზე გამოჩნდებიან, მათ დააკავებენ.

ჰამაზი, როგორც ტერორისტული ორგანიზაცია, აკრძალულია როგორც ევროკავშირის ქვეყნებში, ასევე აშშ-ში, კანადაში, ისრაელში, იორდანიაში.

# ნეთანიაჰუს ალ ჯაზირას იერუსალიმის ოფისის დახურვა სურს



ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ განაცხადა, რომ ყატარული ტელეარხის ალ ჯაზირას იერუსალიმში მდებარე ოფისის დახურვა სურს.

როგორც ბენიამინ ნეთანიაჰუმ განმარტა, ის უკმაყოფილოა იმით, თუ როგორ აშუქებს ალ ჯაზირა ტაძრის მთასთან უსაფრთხოების გაძლიერებულ ზომებს და აღნიშნულთან დაკავშირებით წარმოშობილ კონფლიქტს.

– ტელეარხი ალ ჯაზირა განაგრძობს ტაძრის მთის სიტუაციის ირგვლივ ძალადობისკენ მოწოდებებს. მე უკვე რამდენჯერმე ვთხოვე სამართალდამცავ უწყებებს იერუსალიმში ალ ჯაზირას ოფისის დახურვა. თუ ეს არ მოხდება იურიდიულ საფუძველზე, მე ვიმუშავებ იმაზე, რომ მიღებულ იქნეს კანონი, რომლის საფუძველზეც ალ ჯაზირა ისრაელიდან იქნება განდევნილი, – დაწერა ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ „ფეისბუქის“ პირად გვერდზე.

სიტუაცია იერუსალიმში 14 ივლისის შემდეგ დაიძაბა, როდესაც სამმა შეიარაღებულმა პალესტინელმა ექსტრემისტმა ტაძრის მთის კომპლექსში ორი პოლიციელი მოკლა. ამის შემდეგ ისრაელის ხელისუფლებამ გადაწყვეტილება მიიღო უსაფრთხოების დამატებითი ზომების მიღებაზე ალ-აქსას მეჩეთთან, მათ შორის მეტალოდეტექტორების დამონტაჟებაზე. აღნიშნულს პალესტინელებსა და ისრაელის უსაფრთხოების ძალებს შორის მასობრივი შეტაკებები მოჰყვა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# საფრანგეთის ქალაქის მერმა სახალხოდ ვირთხა შეჭამა



საფრანგეთის ქალაქ მონ-დე-მარსანის მერმა შარლ დაიომ სახალხოდ შეჭამა ვირთხა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ფრანგული გამოცემა ავრცელებს. ამ მოვლენის ამსახველი ვიდეო ფეისბუქში გამოცემის გვერდზე გამოქვეყნდა.

ქალაქის ხელმძღვანელმა შეასრულა საკუთარი დანაპირები, რომელიც მან მიმდინარე წლის გაზაფხულზე გააკეთა. მაშინ მერმა ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის პირველ მატჩში პსჟ-ს „ბარსელონასთან“ 4:0 გამარჯვების შემდეგ განაცხადა, რომ მეოთხედფინალში „ბარსელონის“ გასვლის შემთხვევაში ვირთხას შეჭამდა. საპასუხო შეხვედრაში ესპანურმა კლუბმა პსჟ 6:1 დაამარცხა და ორი მატჩის ჯამში (6:5) შემდეგ ეტაპზე გავიდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**



# ციყვმა კალიფორნიელები უშუქოდ დატოვა

ამერიკის კალიფორნიის შტატის ქალაქ სან-დიეგოს 45 ათასზე მეტი მცხოვრები დროებით დენის გარეშე დარჩა, რაშიც დამნაშავე ციყვი აღმოჩნდა.

მომხდარის თაობაზე განცხადება ადგილობრივმა ელექტროკომპანიამ გაავრცელა. მისი წარმომადგენლის ჰელენ გაოს თქმით, დენი გაეთიშა შენობებს, რომლებიც იუნივერსიტი ჰაიტსის რაიონიდან სევერ პარკის რაიონამდე მდებარეობენ, ძველ ქალაქში, კენსინგტონსა და ა.შ.

გაოს თქმით, ავარიის მიზეზი გახდა ციყვი, რომელიც მაღალი ძაბვის გადამცემ ხაზზე აღმოჩნდა. ცხოველის გადამცემ ხაზთან კონტაქტის შედეგად მოხდა მოკლე ჩართვა. მისი შედეგები რამდენიმე საათში აღმოიფხვრა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


# განცხადებები

## გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

## მკურნალობა

● ნანა ქიზრონაშვილი – ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი,პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა, ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი,ოჯახური გაუგებრობა. მის.: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7 . ტელ: 599-498-423 ნანა. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით.

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები. გარანტიით! ტელ: 555-72-64-98.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავისმკურნალობა,კოლიტი,ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# ევროპის ახალგაზრდულ ფესტივალზე ოქრო ძიუდოისტებმა მოგვიტანეს



ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე საქართველომ მეორე მედალი, ამჯერად – ოქროსი მოიპოვა და ეს მონაგარიც ძიუდოისტებისაა. გიორის ოლიმპიურ პარკში საქართველოს ჰიმნი 66 კგ წონაში მოასპარეზე გიორგი ჩიხელიძის გამარჯვების აღსანიშნავად აჟღერდა.

ფესტივალის მესამე დღეს ჩვენი ძიუდოისტები (ერთი გოგონა, ორი ვაჟი) სამ წონით კატეგორიაში (52, 60 და 66 კგ) გამოვიდნენ.

ჩიხელიძემ ფინალურ შეხვედრამდე 4 მეტოქე დაამარცხა – ფინელი რუპ კორონენი, აზერბაიჯანელი გნიაზ მაჰმუდლუ, რუსეთის წარმომადგენელი კარენ გალსტიანი და ბელგიელი მალიკ უმაიევი. საჩემპიონო ბრძოლაში მისი მეტოქე იყო მოლდოველი პეტრუ პელივანი. ქართველმა ძიუდოისტმა ჯერ ვაზარი აიღო, მერე მოლდოველი ისევ ტატამზე დასცა, შებოჭა და 3 წუთსა და 44 წამში წმინდა გამარჯვება მოიპოვა.

ფესტივალის ქართველ ჩემპიონსა და 66 კგ წონის სხვა პრიზიორებს მედლები საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ლერი ხაბელოვმა გადასცა.

გურამ ძავაშვილმა (60 კგ) პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი წარმატებით გადალახა, მაგრამ მეორე შეხვედრა აზერბაიჯანელ ვუსალ იბრაჰიმოვთან დათმო და მედლისთვის ბრძოლას გამოეთიშა.

ოლიმპიურ ფესტივალზე ჩვენი ძიუდოისტი გოგონებიდან დებიუტი ჰქონდა 52 კგ წონით კატეგორიაში მოასპარეზე ეკატერინე ტატუნაშვილს. მან პირველი შეხვედრა სლოვენიელ თანატოლს იპონით მოუგო, შემდეგ კი რუს დარია კაშინასთან დამარცხდა.

# ილიას ზუროსმა შემადგენლობა შეამცირა

საქართველოს ეროვნული ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა 4 კალათბურთელით შემცირდა. სლოვენიური შეკრება დასასრულს უახლოვდება და ნაკრები ავსტრიაში, ამხანაგური მატჩის გასამართად გაემგზავრა, სადაც ჩვენი გუნდი 14 კალათბურთელით ჩავიდა. მთავარი მწვრთნელის გადაწყვეტილებით, შეკრება დატოვეს და თბილისში გამოემგზავრნენ ნოდარ გოგოძე, ოთარ ფხაკაძე, კახა ჯინჭარაძე და გიორგი შარაბიძე.

ეს კალათბურთელები ზუროსმა გუშინწინ რუსეთის სტუდენტურ ნაკრებთან არ ათამაშა. მატჩის შემდეგ ბერძენი მწვრთნელი მათ ესაუბრა, შეკრებაზე გამოჩენილი მონდომებისთვის მადლობა გადაუხადა და წარმატებები უსურვა.

ეროვნულ ნაკრებში დღეს 14 კალათბურთელია: გიორგი ცინცაძე, გიორგი გამყრელიძე, მაიკლ დიქსონი, მანუჩარ მარკოიშვილი, ბესო ლეჟავა, დუდა სანაძე, ანატოლი ბოისა, მიხეილ ბერიშვილი, თორნიკე შენგელია, ილია ლონდარიძე, ბექა ბურჯანაძე, ბექა ბექაური, გიორგი შერმადინი და გოგა ბითაძე.

ამ შემადგენლობით ჩავიდა ნაკრები ობერვარტში და 12 მათგანი ავსტრიასთან მატჩის განაცხადში დაიკავებს ადგილს. გაფართოებული შემადგენლობიდან კიდევ ვინ დატოვებს ნაკრებს და როდის, ამას მწვრთნელთა შტაბი ილის ზუროსის ხელმძღვანელობით გადაწყვეტს. ეროვნულ გუნდს 7 აგვისტოს, თბილისში დაბრუნების შემდეგ, ნაკრების კაპიტანი ზაზა ფაჩულია შეუერთდება.



# კლაუდიო ლირა: „თბილისის მსოფლიოს ჩემპიონატი დიდად წაგვადგება“



ჩილეს 19 წლამდე სახელბურთო ნაკრები გრანდთა რიცხვს არ განეკუთვნება, თუმცა ის ფაქტი, რომ სამხრეთამერიკელები მსოფლიოს ჩემპიონატზე და 24 საუკეთესო გუნდში მოხვდნენ, უკვე თავისთავად ბევრს ნიშნავს.

ბაზელში გამართულმა წილისწყრამ ჩილელებს ბ ჯგუფი არგუნა, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი ერთ-ერთი მეტოქე საქართველოს ნაკრები იქნება. იმ 23 ნაკრებს შორის, რომლებიც აგვისტოში თბილისში ჩამოვლენ, ჩილელები ყველაზე, ადრე 31 ივლისს გვეწვევიან. ჩილეს ჭაბუკთა ნაკრების 10 მოთამაშე ამჟამად ალჟირში მიმდინარე მსოფლიოს 21 წლამდე ჩემპიონატზე საკუთარი ქვეყნის ღირსებას იცავს.

გთავაზობთ ინტერვიუს ჩილეს 19 წლამდე ნაკრების მთავარ მწვრთნელ კლაუდიო ლირასთან.

***– ბატონო კლაუდიო, როგორ შეაფასებდით ბ ჯგუფს, სადაც მოგიწევთ ასპარეზობა?***

– ჩვენთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა თუ რომელ ჯგუფში მოვხვდებოდით და ვინ იქნებოდნენ ჩვენი მეტოქეები. მთავარი ამოცანა იყო მსოფლიოს ჩემპიონატზე გვეასპარეზა და ეს მიზანი შესრულებულია. შევიძენთ უდიდეს გამოცდილებას იმ ნაკრებების წინააღმდეგ თამაშით, რომლებსაც ხელბურთში ჩვენზე გაცილებით დიდი ტრადიციები აქვთ. ჩილეში ხელბურთის წინსვლისა და განვითარებისთვის თბილისის მსოფლიოს ჩემპიონატი დიდად წაგვადგება.

***– როგორ ემზადებით მოახლოებული მსოფლიოს ჩემპიონატისთვის?***

– მოსამზადებელი ეტაპი გეგმაზომიერად და ნაყოფიერად მიმდინარეობს. ძირითადად საწვრთნელ პროცესს სამშობლოში გავდივართ. აღსანიშნავია, რომ ჩვენი გუნდის 10 წევრი ახლა ჩილეს 21 წლამდე ნაკრებთან ერთად ალჟირში მსოფლიოს ჩემპიონატზე იმყოფება.

***– მსოფლიოს ჩემპიონატზე როგორ შეაფასებდით თქვენი გუნდის შანსებს?***

– უნდა ვაღიაროთ, რომ თბილისში ჩილეს ნაკრები მაღალი შედეგებისთვის ვერ იბრძოლებს. როგორც თავში აღვნიშნე, ამ ეტაპზე ჩვენ იმითაც კმაყოფილი ვართ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური მოვიპოვეთ. ერთადერთი, რასაც გულშემატკივარს ვპირდები, არის ის, რომ ყველა მატჩში თავს არ დავზოგავთ, მაქსიმალურად დავიხარჯებით და ვეცდებით, ჯგუფური ეტაპი გადავლახოთ.

***– საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებისა და ზოგადად ქართული ხელბურთის შესახებ რა ინფორმაცია გაქვთ?***

– ინტერნეტის საშუალებით როგორც ჭაბუკთა ნაკრებზე, ასევე ქართულ ხელბურთზე გარკვეული ინფორმაცია მოვიპოვეთ. მოხარული ვართ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე მასპინძელ გუნდთან მოგვიწევს დაპირისპირება.

***– 3 გუნდი, რომლებსაც მსოფლიოს ჩემპიონატის მოგების ყველაზე მეტი შანსი აქვთ.***

– საფრანგეთი, გერმანია და ესპანეთი. ყველაზე დიდი შანსები ამ სამეულს ექნება.

# კალათბურთელი გოგონები ჯგუფიდან გავიდნენ



საქართველოს 16 წლამდე გოგონათა ნაკრები ქვეჯგუფიდან გავიდა. ნინო ყიფშიძისა და შოთა იაქაშვილის გაწვრთნილმა გოგონებმა გიბრალტარში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატის ც დივიზიონში, ჯგფური ეტაპის მეორე მატჩი 82:44 მოუგეს კოსოვოს და მინიმუმ მეორე ადგილი გაინაღდეს.

ჯგუფის ბოლო მატჩში კოსოვო და მალტა ხვდებიან ერთმანეთს და, რა ანგარიშითაც არ უნდა დასრულდეს ეს მატჩი, საქართველო ჯგუფიდან ნახევარფინალში გამსვლელ საუკეთესო 2 გუნდს შორის მოხვდება. თუმცა, რომელი ადგილით, ამას ჩვენი მეტოქეები გადაწყვეტენ.

კოსოვოსთან საუკეთესო შედეგი ლიკა მიქიშვილმა დააფიქსირა, რომელმაც 21 ქულა და 16 მოხსნა მიითვალა. 21 ქულა და 8 პასი მარიამ ოქროპირიძის ანგარიშზეა, ხოლო მარი ფუთურიძემ 13 ქულა მოაგროვა. 9 ქულითა და 14 მოხსნით თათული გიგაური გამოირჩა.

ჩვენი მომავალი მეტოქე ჯერ უცნობია, თუმცა, მეტი ალბათობით, სომხეთი იქნება, ან უელსსა და გიბრალტარში საუკეთესო.

**მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა**

# ერნესტო ვალვერდე მანჩესტერ იუნაიტედთან შეხვედრით კმაყოფილი დარჩა



ბარსელონის მთავარმა მწვრთნელმა ერნესტო ვალვერდემ მანჩესტერ იუნაიტედის წინააღმდეგ გამართულ შეხვედრაზე ისაუბრა, რომელიც ბარსელონამ 1:0 მოიგო.

ვალვერდეს აზრით, ბარსელონა მატჩის სადავეებს აკონტროლებდა, მიუხედავად იმისა, რომ შეხვედრა მხოლოდ ამხანაგური იყო.

– მანჩესტერი ძალიან ძლიერი მეტოქეა, რომელსაც ბევრი კლუბის დამარცხება შეუძლია. ჩვენ გვიხარია, რომ ეს შეხვედრა მოვიგეთ და, ვფიქრობ, ეს შედეგი სამართლიანია. ბარსელონის მიერ ნაჩვენები თამაშის ხარისხით კმაყოფილი ვარ, – განაცხადა ერნესტო ვალვერდემ. შემდეგ შეხვედრას ბარსელონა 30 ივლისს მადრიდის რეალის წინააღმდეგ გამართავს.

# ესპანეთის საფეხბურთო ფედერაციაში პრეზიდენტი შეიცვალა

ესპანეთის საფეხბურთო ფედერაციას ახალი პრეზიდენტი ჰყავს, ხუან ლუის ლარეა, რომელმაც ამ პოსტზე ანხელ მარია ვილიარი შეცვალა.

ვილიარი რამდენიმე სერიოზულ სკანდალში გაეხვია, რის გამოც მას პრეზიდენტის თანამდებობა ესპანეთის სპორტის სამინისტრომ დაატოვებინა. ამასთან ერთად, ვილიარმა ერთწლიანი დისკვალიფიკაცია მიიღო და ამ ხნის განმავლობაში ვერ შეძლებს ფეხბურთში დაბრუნებას.

რაც შეეხება ახალ პრეზიდენტს, ლარეა დიდი ხნის განმავლობაში ესპანეთის ნაკრების დელეგატი იყო და საფეხბურთო სისტემაში მდიდარი გამოცდილება აქვს.



## შედეგები

**26 ივლისი**

**ფეხბურთი**

**კონკაკაფის თასი**

**ფინალი**

| | |
|---|---|
| აშშ-იამაიკა | 2:1 |

**უეფას ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| ასტანა-ლეგია | 3:1 |
| დინამო-იანგ ბოიზი | 3:1 |
| ზალცბურგი-რიეკა | 1:1 |
| ბეერ შევა-ლუდოგორეცი | 2:0 |
| ვიტორული-აპოელი | 1:0 |
| მარიბორი-ჰაფნარფიორდური | 1:0 |
| ნიცა-აიაქსი | 1:1 |
| სელტიკი-რუსენბორგი | 0:0 |
| ბრიუგე-ბაშაქშეჰირი | 3:3 |

# კოუტინიო 150 მილიონი ევრო ღირს



კოუტინიოს სატრანფერო ფასი 150 მილიონი ევრო იქნება. ამის შესახებ ინფორმაცია ინგლისურ პრესაში გავრცელდა.

ბოლო პერიოდში ხშირია საუბრები იმის შესახებ, რომ ბარსელონას სურს კოუტინიოს ყიდვა, მაგრამ ლივერპული უარზეა და 150 მილიონზე ნაკლებად თავისი ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელის გაშვებას არ აპირებს.

თავიდან ლივერპული 80 მილიონ ევროს ითხოვდა, მაგრამ კოუტინიოს დაკარგვის რეალური საფრთხე იგრძნო და ბრაზილიელის სატრანსფერო ფასი გააორმაგა.

კოუტინიო არ არის წინააღმდეგი ბარსელონაში გადასვლის, მაგრამ ლივერპული, სავარაუდოდ, მას არ დათმობს, რადგან კოუტინიო ლივერპულის ლიდერია.

# ბაიერნმა ინტერთანაც წააგო

მიუნხენის ბაიერნი მილანურ გუნდებთან ძალიან ცუდად თამაშობს. რამდენიმე დღის წინ კარლო ანჩელოტის შეგირდებმა მილანთან 0:4 წააგეს, რაც ძალიან ცუდი შედეგია, მიუხედავად იმისა, რომ ეს მხოლოდ ამხანაგური შეხვედრა იყო. ბაიერნმა ვერც ინტერთან იყოჩაღა და ამჯერად მიუნხენელებმა 0:2 წააგეს.

შეხვედრაში ორივე გოლი 30 წლის ფორვარდმა ედერმა გაიტანა.

ბაიერნი ძირითადი შემადგენლობით თამაშობდა, ამიტომ ასეთი შედეგი შესაძლოა სენსაციადაც ჩაითვალოს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

# სან-ფრანცისკოში ძველი სახლი 16 მილიონად იყიდება



სან-ფრანცისკოში გასაყიდად არის გამოტანილი ძველი სახლი, რომელშიც 16 მილიონ დოლარს ითხოვენ. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი პორტალი ავრცელებს.

1906 წელს ელისაბედ ლესლი მეიერფელდი ცოლად გაჰყვა ლეონ ლაზარია როოზს. პატარძლის მამა – კინოთეატრების ქსელის მფლობელი – ახლადდაქორწინებულებს ახალი სახლის აშენებას დაჰპირდა.

– ეს მიწისძვრის შემდეგ იყო, – განაცხადა წყვილის შვილიშვილმა მარკ როოზმა. მისი თქმით, მშენებლობისთვის ადგილი ჯექსონ-სტრიტიზე შეირჩა. პროექტზე მუშაობდა ცნობილი არქიტექტორი ბერნარდ მეიბეკი.

სამშენებლო სამუშაოები ორი წელი გრძელდებოდა. მათი ფასი 50 ათას დოლარს არ აღემატებოდა. შვილის გაჩენის შემდეგ წყვილმა ისევ მიმართა მეიბეკს და მან ობიექტში ცვლილებები შეიტანა.

1930 წლისთვის სახლმა თავის ახლანდელი სახე მიიღო. მისი საერთო ფართი 958 კვადრატული მეტრია. სახლში არის შვიდი საძინებელი, ექვს-ნახევარი სააბაზანო ოთახი.

ახლა წყვილის შვილიშვილმა და მისმა მეუღლემ სახლი გასაყიდად გამოიტანეს და ის 16 მილიონ დოლარად შეაფასეს. როგორც თავად მარკ როოზი აცხადებს, ის საკუთარ გადაწყვეტილებას არ ნანობს.

# პრინცმა უილიამმა სასწრაფო დახმარების ვერტმფრენის მფრინავის კარიერა დაასრულა



დიდი ბრიტანეთის პრინცმა უილიამმა 27 ივლისს, ღამის ცვლაში მუშაობის შემდეგ, სასწრაფო დახმარების East Anglian Air Ambulance (EAAA), სამსახურში მუშაობა დაასრულა. იგი აცხადებს, რომ ამის შემდეგ იგი მთლიანად დაუთმობს დროს სამეფო კარის მოვალეობებს.

უილიამმა საჰაერო სამედიცინო სამსახურში 2 წელი გაატარა.

– მე ვამაყობ, რომ ასეთი ღირსეული ადამიანების გვერდით ვმუშაობდი, ადამიანების, რომლებიც ყოველ დღე ადამიანების სიცოცხლის გადასარჩენად იბრძვიან, – განაცხადა პრინცმა თანამშრომლებთან გამომშვიდობებისას.

# ესპანელ მილიარდერს პატიმრობა და 100-მილიონიანი ჯარიმა ემუქრება

ესპანელ მილიარდერ ხაიმე ბოტინს ოთხწლიანი პატიმრობა და ჯარიმის სახით 100 მილიონი ევროს გადახდა ემუქრება პაბლო პიკასოს სურათის გამო.



2015 წელს ესპანეთიდან უკანონოდ გატანილი ნახატი „ახალგაზრდა ქალის თავი“, რომელიც საფრანგეთის თანამშრომლებმა კორსიკაში დააკავეს, ქვეყანაში დააბრუნეს.

შედევრი კალვის პორტში ერთ-ერთი იახტის შემოწმების დროს იქნა აღმოჩენილი. ნახატი ესპანეთის ეროვნულ სიამაყედ ითვლება და მან ქვეყნის ტერიტორია არ უნდა დატოვოს. სურათის ფასი 26 მილიონი ევროა.

პროცესი ბოტინის წინააღმდეგ გრძელდება. პროკურატურამ მილიარდერისთვის ოთხწლიანი პატიმრობა და ჯარიმა 100 მილიონი ევროს ოდენობით მოითხოვა.

გამოძიების დასრულებამდე ნახატი მადრიდში, დედოფალ სოფიას ხელოვნების ცენტრში იქნება შენახული. ის შესაძლოა იქ სასამართლოს შემდეგაც დარჩეს, თუ მისი ფლობის უფლება სახელმწიფოს გადაეცემა (ასეთი მოთხოვნა წამოაყენა ბრალდების მხარემ).

# ნორვეგიაში 15 წლის გოგონამ დანით 17 წლის სუპერმარკეტის თანამშრომელი გოგონა მოკლა

26 ივლისს, საღამოს, ნორვეგიის ქალაქ კრისტიანსლანდის სუპერმარკეტ Coop Obs Sorlandsenteret-ში 15 წლის დანით შეიარაღებული გოგონა თავს დაესხა სუპერმარკეტის თანამშრომელს, 17 წლის მარია სკულანდს, რომელიც მიყენებული ჭრილობებისაგან დაიღუპა. მძიმე მდგომარეობაშია თავდასხმის მეორე მსხვერპლი, 23 წლის ქალბატონი, რომელიც მარკეტში საყიდლებზე იმყოფებოდა.

თავდამსხმელი 15 წლის გოგონა, რომლის ვინაობაც გასაგები მიზეზების გამო არ სახელდება, დაპატიმრებულია, თუმცა, მისი დაკითხვა ვერ ხერხდება, რადგან იგი ფსიქოლოგიურ დეპრესიაშია.

როგორც პროკურატურაში აცხადებენ, დამნაშავე იმ დილით გაიქცა ბავშვთა ფსიქიატრიული დაწესებულებიდან. რაც შეეხება მსხვერპლს, მარია სუპერმარკეტის თანამშრომლად დროებით, საზაფხულო სამუშაოს ფარგლებში აიყვანეს.

მომხდარი ინციდენტის შემდეგ სუპერმარკეტი ჯერ კიდევ დაკეტილია.

# შვეიცარიის სოფელი ტურისტებმა „წალეკეს“

შვეიცარიის ტიჩინოს კანტონის სოფელი ლავერტეცო ტურისტებმა „წალეკეს“ იმ ვირუსად ქცეული ვიდეოს გამო, რომელიც ინტერნეტში იტალიელმა მარკო კაპედრიმ განათავსა.

ვიდეორგოლი ფეისბუქში 10 ივლისს გამოქვეყნდა. ამ დროისთვის მას უკვე 2,6 მილიონამდე ნახვა დაუგროვდა.

ლავერტეცო შვეიცარიაში ცნობილია მდინარე ვერზასკას სუფთა წყლებისა და ლამაზის ქვის ხიდის წყალობით. სოფელი დიდი ხანია იზიდავს ტურისტებს, რომლებსაც კამკამა მდინარეში ბანაობა და გარუჯვა სურთ, მაგრამ კაპედრის ვიდეოს გამო იქ კიდევ უფრო მეტი მოგზაურობის მოყვარული ჩავიდა, განსაკუთრებით იტალიელები.

ტურისტების ასეთი მოზღვავებით კი სოფლის ყველა მცხოვრები როდი დარჩა კმაყოფილი. ერთ-ერთი მათგანის თქმით, ტურისტები არაფერს ეპყრობიან პატივისცემით: მათ სძინავთ მანქანებში, ნახევრად შიშვლები სეირნობენ და შემოგარენი ტუალეტად აქვთ გადაქცეული.



სოფლის ხელისუფლება კი ამტკიცებს, რომ სიტუაცია კონტროლს ექვემდებარება, თუმცა, ამავე დროს, აღნიშნავენ, რომ კაპედრის შეეძლო, თავისი თანამემამულეებისთვის მოეწოდებინა, პატივისცემით მოპყრობოდნენ ადგილობრივ წესებს და სწორად გაეჩერებინათ საკუთარი ავტომობილები.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# პაკისტანში, სოფლის საბჭოს გადაწყვეტილებით, 16 წლის გოგონა საჯაროდ გააუპატიურეს

პაკისტანის სოფელ მულტანში დაპატიმრებულია 20 მამაკაცი, რომლებმაც 16 წლის გოგონას საჯარო გაუპატიურების გადაწყვეტილება მიიღეს.

20-ვე მამაკაცი სოფლის საბჭოს (ჯირგას) წევრია. მათ განიხილეს სოფლის ერთ-ერთი ოჯახის საჩივარი, რომლის 12 წლის გოგონაც მისმა ბიძაშვილმა გააუპატიურა. სოფლის საბჭომ მოძალადის დასჯის მიზნით გადაწყვიტა, რომ მისი 16 წლის და საჯაროდ გაეუპატიურებინათ. საქმის განხილვაში ორივე ოჯახი მონაწილეობდა. „სასჯელი“ 12 წლის გოგონას ძმამ აღასრულა.

ადგილობრივი სამართალდამცავები აცხადებენ, რომ პოლიციაში საჩივარი ორივე გოგონას დედებმა შეიტანეს.



# ასტროპროგნოზი

## 28 ივლისისათვის



**ვერძი** – კეთილისმყოფელი დღეა კომერციული საქმიანობისათვის. ფინანსურ საკითხებში გარისკვა სასურველი არ არის. გადაწყვეტილების მიღებისას იმპულსურობა ხელს შეგიშლით. **კურო** – პროფესიონალურთან ერთად, ჯანმრთელობის პრობლემებიც გექმნებათ. მეგობრებს მეტი ყურადღება დაუთმეთ. **ტყუპები** – დაისვენეთ აქტიურად. მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაში მეგობრები და ახლობლები დაგეხმარებიან. თავს ნუ გადაიტვირთავთ, აკეთეთ ის, რაც გსიამოვნებთ. **კირჩხიბი** – კარგი პერიოდია საქმიანი მოლაპარაკებებისა და ახალი კონტრაქტების დასადებად. ასევე გაუმართლებთ მათ, ვისაც ოჯახის შექმნა სურს. **ლომი** – ცდუნების აყოლა არას გარგებთ. ყოველმხრივ კეთილისმყოფელი დღეა. თქვენი აქტიურობა და შრომისმოყვარეობა ხელმძღვანელობას შეუმჩნეველი არ დარჩება. **ქალწული** – ემოციური თვალსაზრისით სახიფათო დღეა. ყოველგვარი შეხვედრა სხვა დროისათვის გადადეთ. მეტი ყურადღება დაუთმეთ ოჯახის წევრებს. **სასწორი** – მოემზადეთ სასიამოვნო მოულოდნელობისათვის. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. ნერვებს არ აჰყვეთ. დაისვენეთ მყუდრო გარემოში. კარგი იქნება, თუ წყლის პროცედურებს ჩაიტარებთ. **ღრიანკალი** – საკმაოდ დასამახსოვრებელი დღეა. გაგიმახვილდებათ ინტუიცია. ნავაჭრი იღბლიანი იქნება. **მშვილდოსანი** – პასიური დღეა. კარგი იქნება, თუ განმარტოვდებით და თავს დასვენებისა და განტვირთვის უფლებას მისცემთ. ჯანმრთელობას მიხედეთ. **თხის რქა** – თუ საჭირო ადამიანებთან საერთო ენას გამონახავთ, საქმიან გარიგებებში წარმატებას მიაღწევთ. იყავით დაკვირვებული და მოვლენები ადეკვატურად შეაფასეთ. **მერწყული** – ნუ იაქტიურებთ. დღის მეორე ნახევარში საგრძნობლად გაგიმახვილდებათ ინტუიცია. **თევზები** – დაივიწყეთ ყოველგვარი უსიამოვნება და საკუთარ თავს დღესასწაული მოუწყვეთ. სასიყვარულო ურთიერთობებში გიმართლებთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი; 2. იტალიელი კინორეჟისორი; 3. მინერალი, ძვირფასი სამშენებლო მასალა; 5. სტადიონი რიო დე ჟანეიროში; 7. ტკბილი, არომატული სპირტიანი სასმელი; 9. მთელი სხეულის ძლიერი კრუნჩხვა; 13. ირანელი ჯარისკაცი; 15. პოპულარული ქართული ხალხური სიმღერა; 16. ყოველდღიური გაზეთი იტალიაში; 18. დიპლომატიური წარმომადგენელი.

**თარაზულად**: 4. ქართული ხალხური ხის ჩასაბერი საკრავი; 6. ხეობაში დაცურებული ყინულის მასა; 8. ქართველი მოჭადრაკე ქალი, მრავალგზის მსოფლიო და ევროპის ჩემპიონი; 10. მიწის ნაყოფიერების ღვთაება სვანურ მითოლოგიაში; 11. ერთი სახელმწიფოს დიპლომატიური მიმართვა მეორე სახელმწიფოს მთავრობისადმი; 12. იტალიელი მოდელიერი; 14. ქალაქი იაპონიაში; 17. ფლიდი, ფარისეველი ადამიანი; 19. უსქესო, ვეგეტატიური მეთოდით წარმოშობილი შთამომავლობა; 20. მდინარე გაგრაში; 21. ბერძნული ანბანის პირველი ასო; 22. ზღვის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 23. ბეისბოლისტის ერთ-ერთი ამპლუა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ტოსტერი; 2. სურა; 3. ვაისი; 4. ანიონი; 6. მაყრიონი; 9. ტეხური; 13. დრეზინა; 14. მესხეთი; 15. ბუშელი; 17. რურუა; 18. ცედრა; 20. აკრი.

**თარაზულად:** 1. ტოსკანა; 5. ლაკმე; 7. თარხანი; 8. სპრინტი; 10. არაყი; 11. სენტო; 12. ბახუსი; 16. ლენონი; 17. რენცი; 21. მექისე; 22. ტუბერი; 23. ლიკანი; 24. პიექსი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. გარინჩა; 2. ჰეპატიტი; 3. ორაგული; 5. კალევალა; 7. მცონარა; 9. მურვანიძე; 13. მისტიკა; 15. ორფოლო; 16. შულერი; 18. ცანგალა.

**თარაზულად:** 4. ბარაკონი; 6. გრეიდერი; 8. ცივილიზაცია; 10. ტანდემი; 11. ეტლი; 12. ბრინჯი; 14. ტონგა; 17. გნომი; 19. სფერო; 20. აერობუსი; 21. ეტლი; 22. პორტვეინი; 23. ცანგალა.

# კურორტი საირმე მუსიკალურ ფესტივალს უმასპინძლებს

საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ცენტრი კურორტ საირმეზე ფესტივალს ჩაატარებს, რომელიც, ქართულ ფოლკლორთან ერთად, ქართულ სიმღერასა და ცეკვას გააერთიანებს.

ფესტივალი საზეიმოდ 29 ივლისს ანსამბლ „რუსთავის“ კონცერტით გაიხსნება. 5 აგვისტოს მათ ანსამბლი „დიდგორი“ ჩაანაცვლებს, 12 აგვისტოს ფესტივალს შეუერთდება ანსამბლი „იალონი“, 19 აგვისტოს მსმენელისთვის იმღერებენ დავით ნოზაძე და ნეკა სებისკვერაძე, 20 აგვისტოს სცენა დაეთმობა რომა რცხილაძესა და პოლ რიმპლეს, 26 აგვისტოს ანსამბლი „შავნაბადა“ ქართულ ხალხურ სიმღერას ააჟღერებს, 2 სექტემბერს ფესტივალის სტუმარი ანსამბლი „თბილისი“ იქნება, 9 სექტემბერს საფესტივალო პროგრამაში წარმოდგენილი იქნება ანსამბლები „იამე“ და „ქუთაისის სახელმწიფო ანსამბლი“, 10 სექტემბერს კი ფესტივალის საზეიმო დახურვა გაიმართება, სადაც ანსამბლი „ბასიანი“ იმღერებს.

# ახალგაზრდა მომღერალს დახმარება ესაჭიროება



ახალგაზრდა მომღერალ ნინო ჩიქოვანს საზოგადოების დახმარება ესაჭიროება. ინფორმაციას ამის შესახებ კონსერვატორიის რექტორი რეზო კიკნაძე ავრცელებს:

— მეგობრებო, ბიზნესმენებო, მუსიკისა და ახალგაზრდა მუსიკოსების გულშემატკივრებო, კვლავ მოგმართავთ უმორჩილესი თხოვნით, რამენაირად დაეხმაროთ ჩვენს ერთ შესანიშნავ მაგისტრანტს, რომელსაც მცირედი ქულა დააკლდა უფასო სამაგისტრო ადგილის მოსაპოვებლად ჩვენს კონსერვატორიაში. ნინო ჩიქოვანი არის უნიჭიერესი მომღერალი, შესანიშნავი ხმით, განსაკუთრებული საცეკვაო მონაცემებით და ამრიგად კარგი საოპერო მსახიობის ყველა ატრიბუტით შემკული. შარშანწინ, ანევრიზმის გამო მძიმე განსაცდელში მყოფმა, კეთილი ხალხის დახმარებითა და თავისი მხნე და უდრეკი სულის წყალობით მოახერხა და წელს წარმატებით დაამთავრა აკადემიური სიმღერის ბაკალავრიატი კონსერვატორიაში. წელსვე, მაგისტრატურაში მისაღები გამოცდის ამ შედეგით, თვითონ უნდა დაიფინანსოს ორწლიანი სწავლა, რაც ყოვლად წარმოუდგენელია: უკიდურესად ხელმოკლე ოჯახს ორიოდე თვის წინ უეცრად შეუწყდა სოციალური დახმარება, მიზეზს დღემდე არკვევენ და ვერ დაუდგენიათ; ლაპარაკი არცთუ ისე დიდ თანხაზეა, 3000 ლარი წელს და ამდენივე გაისად, რომ ასე წარმატებით დაწყებული არტისტული განათლება წარმატებითვე დაასრულოს.

თუ იკითხავთ, თვით კონსერვატორია რატომ არ ეხმარებაო, დიდი, უდიდესი სურვილის მიუხედავად, კონსერვატორია ვერ დაუშვებს გამონაკლისს ამ განსაკუთრებულ შემთხვევაშიც კი, მრავალთაგან იმ ერთი უმთავრესი მიზეზის გამო, რომ გამონაკლისს ჩვენს სინამდვილეში მაშინვე აედევნება ხოლმე წესად ქცევის მოლოდინი და ვალდებულება, ისე, რომ ამას ისევე ვერ ავიღებთ ჩვენს თავზე, როგორც ბევრ მსგავს, თუნდაც ნაკლები სიმწვავის შემთხვევას.

ამიტომ მოგმართავთ და იმედი გვაქვს თქვენი, ქართველო საზოგადოებავ, წარმატებულო არტისტო კოლეგებო, სახელმწიფო თუ კერძო ფონდებო, ყველას, ვისაც რამედ გიღირთ ქართული კულტურული გარემოს მომავალი, ყურად იღოთ ჩვენი თხოვნა და დაეხმაროთ ასეთ განსაცდელში მყოფ ახალგაზრდებს, ამჟამად კი ძვირფას ნინო ჩიქოვანს, ბევრი თქვენგანისთვის ალბათ უკვე ნაცნობს!

# სამგლოვიარო განცხადებები

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ასოცირებულ პროფესორს ეკა ლეკაშვილს გარდაეცვალა დედა

**მზია დემეტრაშვილი**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური პოლიტიკის კათედრა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ამავე კათედრის ასოცირებულ პროფესორს ეკა ლეკაშვილს გარდაეცვალა დედა

**მზია დემეტრაშვილი**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# „დილა მშვიდობისა, საქართველო“ ეთერში ნახანძრალი სტუდიიდან გავიდა




ტელეკომპანია რუსთავი 2-ის შენობაში გაჩენილ ხანძარს ხელი არ შეუშლია იქ მომუშავე ადამიანებისთვის, სატელევიზიო ეთერი შეეწყვიტათ. პირიქით, ნახანძრალი სტუდიიდან გადაცემები მაინც გადაიცემოდა.

გადაცემა „დილა მშვიდობისა, საქართველოს“ პროდიუსერ ნინო არაზაშვილის ინფორმაციით, ხანძარი ტელეკომპანიაში მისი გუნდის წევრმა, ჟურნალისტმა დავით აბრამიშვილმა შენიშნა.

ნინო არაზაშვილი:

— ხანძრის შემდეგ „დილა მშვიდობისა, საქართველოს“ გუნდს რთულ პირობებში უწევს მუშაობა. სწორედ ჩვენმა კორესპონდენტმა დათო აბრამიშვილმა შენიშნა ხანძარი ღამის 12 საათზე. ჩვენმა და „კურიერის“ ჟურნალისტებმა და ოპერატორებმა, პროდიუსერებმა და მონტაჟის რეჟისორებმა მიიღეს ზომები, რომ დროულად გამოგვეძახებინა სახანძრო, შენობიდან გამოგვეზიდა და უსაფრთხო ტერიტორიაზე გამოგვეტანა გადასაღები ტექნიკა. ხანძრის ლიკვიდაციის შემდეგ ვერ ვუცდით შენობის სრულად განიავებას და შენიღბულები ვაგრძელებთ საეთერო მასალებზე მუშაობას, რომ თქვენ დილისთვის არაფერი გამოგრჩეთ, არაფერი, რაც მოხდა ღამით. მადლობა ჩემს გუნდს სრული მობილიზებისა და თავდადებისთვის. ამ პირობებშიც ჩვენ ვიბრძვით ჩვენი საყვარელი საქმისა და პირველობისთვის.

# მანანა მენაბდე საკუთარმა ქვეყანამ უცხოეთში გადასახვეწად კიდევ ერთხელ გაიმეტა



დები იშხნელების შთამომავალი, მუსიკოსი მანანა მენაბდე წლებია გერმანიაში ცხოვრობს. ის ეტაპობრივად ჩამოდის საქართველოში და კონცერტებს მართავს. წელს მან კინომსახიობთა თეატრში სპექტაკლიც დადგა, რომელიც თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ქართულ „შოუ ქეისში“ ვერ მოხვდა იმ მიზეზით, რომ ეს სპექტაკლი თურმე შიდა მოხმარების პროდუქტი ყოფილა.

მწერალი მანანა დუმბაძე ამ ფაქტს გამოეხმაურა და განაცხადა, რომ ასეთი საქციელით მანანა მენაბდე საკუთარმა ქვეყანამ კიდევ ერთხელ გაიმეტა უცხოეთში გადასახვეწად:

— აღარ გათავდა: თურმე, კიდევ ერთხელ გაიმეტა მანანა მენაბდე საკუთარმა ქვეყანამ უცხოეთში გადასახვეწად, კიდევ ერთხელ თქვა უარი მის უნიკალურ ნიჭზე, ვითომ ბევრი გვყავდეს ეგეთი.

არადა, მართლა ერთადერთია იმ შემოქმედთაგან, ვისაც ასე წირავს ქვეყანა და ის მაინც არასდროს იბუტება, მაინც უკიდეგანო მოყვარული და დამფასებელია თავისი ბედკრული საქართველოსი. სხვებსავით არასდროს იცრუებს მასზე გულს და ღალატობს. მუდამ დაუღალავად შრომობს მის სასიკეთოდ, უშურველად გასცემს თავის უსაზღვრო ნიჭს, რომელსაც ყველგან ხედავენ, საქართველოს გარდა, უმადურების წინ და არასდროს წუწუნებს ამის გამო.

ცხოვრება გავიდა და არ დადგა ჩვენს ქვეყანაში მანანა მენაბდის დრო. ყველგან დადგა და ჩვენთან — არა! ოღონდ აქ არ იყოს, ოღონდ აქ არ იმღეროს, აქ არ გააკეთოს სატელევიზიო გადაცემები, სპექტაკლები, „პერფორმანსები“ და სადაც უნდა, იქ ეძახონ გენიოსი, „მანანა მენაბდის ფენომენი“, მოვლენა, სადაც უნდა, ოღონდ საქართველოში არა, აქ მარტო ერთმა და იმავე ხალხმა უნდა იჯეჯილოს.

თურმე წლევანდელი თეატრალური ფესტივალის ქართულ „შოუ-ქეისზე“ მისი, კატო ჯავახიშვილის და ნინია სადღობელაშვილის, ესეც ორი გამორჩეულად ნიჭიერი მწერალი, ექსპერიმენტული სპექტაკლი „მართლა?“ ვერ გავიდა, რადგან, თურმე, მათი პიესა „შიდა მოხმარების პროდუქტი“ ყოფილა, ასე ამბობენ გადაწყვეტილების მიმღებნი.

ჰოდა, მოკლედ რომ მოვჭრა, ვისაც მანანა მენაბდის „შიდა მოხმარების პროდუქტები“ არ მოსწონს, ერთი თავისი „გარე მოხმარების პროდუქტებიც“ გვიჩვენოს, რაღაც არ მაგონდება, რომ რომელიმეს დიდი ვარსკვლავები ეწყვიტოს მსოფლიო ცის კაბადონიდან... თუ დაგვიბლაგვდა გემოვნება და კარგსა და უსახურს ერთმანეთისგან ვეღარ ვარჩევთ.

რა ქნას მენაბდემ, მაინცდამაინც უნდა მოკვდეს, აზრზე რომ მოვიდეს ეს ქვეყანა და ხიდზე გავიდეს? ეს გვინდა? მერამდენეჯერ!

# თათია შარანგია მესამე ბიჭის დედა გახდა



პიანისტი თათია შარანგია წლებია თავის მეუღლესთან სანდრო შელიასთან ერთად უცხოეთში ცხოვრობს.

თათია ორიოდე დღის წინ მესამე ბიჭის დედა გახდა. მშობლებმა შვილს ალესანდრო დაარქვეს. პატარა ესპანეთში დაიბადა. დედა-შვილი თავს კარგად გრძნობს. ინფორმაცია ამის შესახებ პიანისტმა თავად გაავრცელა:

— დაიბადა ჩვენი სიყვარული! ანდრე ალესანდრო შელია. არ ვიცი, რა ვთქვა ამ საოცარ ბიჭზე! მადლობა ღმერთს ამ შეუდარებელი საჩუქრისთვის და მადლობა ჩვენს ანდრუშას, რომ ჩვენი ოჯახი აირჩია, რომ ჩვენ გაგვხადა ღირსი, გავმხდარიყავით მისი მშობლები.

თათია შარანგია და სანდრო შელია 4 წლის წინ ამერიკაში დაქორწინდნენ. ეს მათი პირველი საერთო შვილია. თათიას პირველი მეუღლისგან, ედუარდ შევარდნაძის შვილიშვილისგან ლაშა შევარდნაძისგან ორი ბიჭი ჰყავს. თათია და მისი ბიჭები სანდროსთან ერთად ცხოვრობენ. პირველი ქორწინებიდან ერთი ბიჭი ჰყავს თავად სანდრო შელიასაც.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# ტოკიოში ქალებისთვის სასტუმრო გაიხსნება

იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში ახალი კაფსულური სასტუმრო გაიხსნება, რომელიც მხოლოდ ქალებისთვის იქნება განკუთვნილი. ამ ინფორმაციას ადგილობრივი მასმედია ავრცელებს.

აღნიშნულ პროექტზე ორი ადგილობრივი კომპანია მუშაობს. ერთ-ერთი მათგანის დამფუძნებელმა კეისურე იუიმ განაცხადა, რომ ჩვეულებრივ მისი ფირმა კაფსულურ სასტუმროებს მამაკაცებისა და ქალებისთვის აშენებს.

— ჩვენ გადავწყვიტეთ, შევქმნათ სასტუმრო ქალებისთვის, ვინაიდან მსგავსი ობიექტები ნაკლებადაა, განსაკუთრებით კაფსულური სასტუმროები, — აღნიშნა იუიმ.

ახალი სასტუმრო მხოლოდ ქალებს მიიღებს, რომლებიც იქ ღამის გათევას მოინდომებენ, ასევე მათაც, რომლებსაც უბრალოდ შხაპის მიღება ან ხანმოკლე ძილი ენდომებათ.

აღსანიშნავია, რომ ეს პირველი ასეთი სასტუმრო არ იქნება ტოკიოში. ზოგიერთი მსგავსი სასტუმრო უკვე 14 წელია მოქმედებს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# პროგრამა

**პარასკევი 28 ივლისი**

**07.00** დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" **08.00** "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **09.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **09.15** ტ/სერ. "**წინ" წარმატებისკენ**" **10.10, 02.20** "პირადი ექიმი" **11.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **12.30** "საუკუნის პორტრეტები" **13.00, 03.10** დღის მხ/ფ "**რომაული არდადეგები**" (გ.პეკი) **15.00, 05.05** დოკ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა" **16.15** დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" **17.00** ტ/სერ. "**ოფისი**" **18.30** "ტელებლოგი" **19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **20.40** "სპორტის დაფა" **21.00** ტ/სერ. "**ცბიერი მოახლეები**" **22.00** ტ/სერ. "**მთავრობა**" **23.00** მხ/ფ "**ორი ლულა**" (დ.ვაშინგტონი) **00.40** მხ/ფ "**თეთრი სასახლე**" (ს.სარანდონი)

**ტექნიკური მიზეზების გამო არხის პროგრამას ვერ ქთავაზობთ.**

**05.50, 14.40** სერ. "**ელიფი**" **07.30, 08.20, 09.20** იმედის დილა (გაგრძელება) **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.30** ქრონიკა **10.05** სერ. "**პატარძალი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** იმედის დღე **17.35** სერ. "**ხაფანგი**" **18.45, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **21.00** სპორტი **21.08** ამინდი **21.10** სერ. "**ძმა**" **22.30** მხ/ფ "**შეუჩერებელნი 3**" **00.35** მხ/ფ "**კენედის მკვლელობა**" **02.00** მხ/ფ "**გაქცევა ციხიდან**" **03.45** მხ/ფ "**საფირონის წიგნი**"

**06.00, 18.45** სერ. "**კაცი**" **06.45, 20.03** სერ. "**დესპოტი ქმარი**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **12.30** "სხვა შუა დღე" - დასკვნითი **13.55** სერ. "**ფერიჰას საიდუმლო**" **15.30** სერ. "**წარსულის ჩრდილი**" **16.55** სერ. "**დაკარგული წლები**" **20.50** ლოტო **22.00** ვანოს შოუ - დასკვნითი სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**"

**08.00** ან/სერ. "ვარსკვლავური ომები -2" **09.00, 17.00** სერ. "**კრიმინალური აზროვნება 12**" **11.00** სერ. "**მონკი**" **15.00** სერ. "**ანტიმაფია 7**" **18.00** სერ. "**სასტუმრო**" **19.00** სერ. "**ჰანიბალი 2**" **21.00** ერ. "**მაფიოზა 4**" **22.30, 06.30** მხ/ფ

იბერია **08.00** ანანდა **08.15** მულტფილმი **08.30** სერ. "**ღმერთების ხელდასხმული**" **09.20** მულტ/სერ. "დინოფროზი" **09.50** სერ. "**სიყვარულსა და შიშს შორის**" **10.40, 13.40, 14.40, 17.40, 21.20** ტელემარკეტი **11.00, 14.00, 17.00, 17.55, 19.00, 23.30** ახალი ამბები **11.30** დოკ/ფ "უკანასკნელი ნოტები" **12.00** მოდი გავიყაროთ **13.00, 04.35** ბიზნესკოდი **15.00** 3-დან 5-მდე **16.25** სერ. "**ფოილის ომი**" **18.00, 0.00** ფაბრიკა **19.55** მე რომ ვიყო **20.00, 03.35** პრიორიტეტი **21.30** მეორე ნახევარი **22.30** სერ. "**სიყვარულსა და შიშს შორის**" **1.00** მხ/ფ "**როცა ვკვდებოდი**" **2.45** მოდი გავიყაროთ

**06.15** კვირიაკე **07.10** დ/ფ "ველური ბუნება-ოპოსუმი ღამის სტუმარი" **07.35** ივერიის ეკლესია **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10** "მსოფლიო საგანძური-საბერძნეთი-ათენის აკროპოლისი" **10.25** თბილისის ტაძრები "მამა დავითი" **10.35** ჩვენი ფონდი **11.10** "ერთსულოვანი ოჯახი"-დემეტრაშვილები **12.10** მხ/ფ "**სანამ წვიმა გადივლიდეს**" **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.40** გამოყენებითი ხელოვნება "დიზაინი ფერში" **15.05** ქართული ან/ფ **15.25** დ/ფ "ბარტ ვულფი-ბამფი" **15.50** სამყაროს შექმნა **16.00** საქართველოს ქალაქები-ბორჯომი **16.35** კონცერტი **17.35** ჩვენი საგანძური **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** "სჯანი"-საღვთო მადლისა და ადამიანის თავისუფალი ნების ურთიერთმიმართება **19.00, 22.00, 00.10** სიახლენი **19.20** მხ/ფ "**შერეკილები**" **20.40** ძილი ნებისა **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.05** დროის ჩანაწერები "ვარიაციები ჯაზის თემაზე" **22.25** მოგზაურობა სამშობლოში "ოძრახისის სამკვიდრო-აბასთუმანი" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** ივერიის ეკლესია "საქართველოს ეკლესიის ადგილი მართმადიდებელურ დიპტიხში" **00.00** საეკლესიო კალენდარი **00.35** მგზავრები წუთისოფლისა **01.00** დ/ფ "რამდენიმე სურათი ილიას ცხოვრებიდან" **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო **08.00 - 03.00** ახალი ამბები (გამეორება ყოველ ერთ საათში) **07.15 - 02.15** სპორტი (გამეორება ყოველ ერთ საათში) **07.30- 02.30** ახალი ამბები მსოფლიო (გამეორება ყოველ ერთ საათში) **07.00, 10.00, 13.00, 19.00, 23.00, 01.00** ბიზნესი **21.00** მთავარი გამოშვება

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**28 ივლისისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.3993

ევრო — 2.7933

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.1323

100 რუსული რუბლი — 4.0016

## ამინდის პროგნოზი 28 ივლისისთვის





## 1 აგვისტოდან




ქართული დეტექტივი
მე-15 ტომი

მაია ბურჭულაძე

უფასო ბილეთი წარსულში

ორშაბათის სიზმარი

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

## 20 ივლისიდან

შიო გვეტაძე

მონანიება

ქართული დეტექტივი
მე-14 ტომი

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი





## ფელპსი ზვიგენს შეეჯიბრა



იუთუბიზე გამოჩნდა ვიდეოჩანაწერი, რომელზეც 23-გზის ოლიმპიური ჩემპიონი მაიკლ ფელპსი თეთრი ზვიგენის კომპიუტერულ სიმულაციას ცურვაში ეჯიბრება.

სპორტსმენმა 100-მეტრიანი დისტანცია 38,1 წამში დაფარა და „ზვიგენს" ზუსტად ორ წამით ჩამორჩა. გაცურვა ტელეარხ დისქავერის ტელეშოუს ფარგლებში ჩატარდა.

სოციალურ ქსელებში ფელპსის გაცურვის ორგანიზატორები ინტერნეტმომხმარებლების მოტყუებაში დაადანაშაულეს.

მათი უკმაყოფილების მიზეზი გახდა ის ფაქტი, რომ ამერიკელი მხოლოდ მტაცებელი თევზის კომპიუტერულ სიმულაციას ეჯიბრებოდა დისქავერის ტელეშოუს ფარგლებში.

ამასთან, ინტერნეტმომხმარებლების ნაწილი შოუს კრიტიკოსების პოზიციას არ დაეთანხმა.

## ქალმა ძრავაში ზეთის ნაცვლად სარეცხი სითხე ჩაასხა



საფრანგეთში ავტომობილის მინის მფლობელმა ქალბატონმა ძრავაში ზეთის ნაცვლად ხუთი ლიტრი მინების სარეცხი სითხე ჩაასხა. ის, თუ რა დაემართა ამის შემდეგ მანქანის ძრავას, ამის ამსახველი ფოტოსურათი სოციალურ ქსელ ფეისბუქში ერთ-ერთი ავტომობილების კლუბის მფლობელმა განათავსა.

როგორც გავრცელებულ ინფორმაციაშია აღნიშნული, მძღოლმა გოგონამ ძრავაში სარეცხი სითხის ჩამატება მას შემდეგ გადაწყვიტა, როდესაც მოწყობილობების დაფაზე შესაბამისი ნათურა აინთო, მაგრამ ამ დროს მას სითხის ჩასასხმელი ხვრელები აერია. ამ ყოველივეს მიუხედავად, გოგონამ ავტოსერვისამდე მისვლა მას შემდეგ მოახერხა, რაც მანქანის გამონაბოლქვი სისტემიდან სქელი ლურჯი ბოლი გამოვიდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## იუმორი



მამაკაცი ნუდისტურ პლაჟზე ირუჯება და მზის დამწვრობის თავიდან ასაცილებლად თავის მნიშვნელოვან ორგანოზე ქუდს დაიფარებს. ამ დროს გვერდით ქალბატონმა ჩაიარა და დამცინავად შენიშნა:

– თქვენ რომ ნამდვილი ჯენტლმენი ბრძანდებოდეთ, ქალის თანდასწრებით ქუდს მაინც წამოწევდით.

– თქვენ რომ ნამდვილი ქალბატონი იყოთ, ქუდი თავად აიწეოდა.

●●●

მგზავრი ბორტგამცილებელს ეუბნება:

– თქვენ კონიაკის სუნი აგდით...

– და მერე რა? იქნებ ფრენის მეშინია...

– კი მაგრამ, თუ ფრენის გეშინია, ბორტგამცილებლად რატომ მუშაობთ?

– კონიაკი მიყვარს!!!

●●●

ერთი სოფლელი მეორეს ეუბნება:

– გაიგე? ჩვენი გუბერნატორი აღარ იპარავს.

– მართლა? და როდისაა გასვენება?

●●●

ერთი მამაკაცი მეორეს ეუბნება:

– კაცს როგორ უნდა გიყვარდეს სექსი, რომ ქალის ხასიათს ეგუებოდე!

●●●

ერთი ქალი მეორეს ეუბნება:

– ყველა მამაკაცი სვამს!

– ჩემი ჭამს კიდეც.

●●●

ღამის ორ საათზე ვეტერინარის ტელეფონი რეკავს:

– ალო, ვეტრინარი ხართ?

– დიახ! რაიმე სასწრაფოა?

– რა თქმა უნდა! აქ სახურავზე კატებს სექსი აქვთ და საშინლად ღნავიან, დაძინება შეუძლებელია!

– კატას ტელეფონთან უხმეთ!

– თქვენ ფიქრობთ, რომ ის ამის გამო სექსს შეწყვეტს?

– მე ხომ შევწყვიტე!

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– ნებისმიერ ლამაზ გოგონას ან ქალს რომ უთხრა, თუნდაც გათხოვილს, შენგან მეძავი არ გამოვაო, იცი, რას გიპასუხებს?

– რას?

– „ვითომ რატომ?"

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.






## 13 ივლისიდან

ლაშა იმედაშვილი

სამი მკვლელობა ძველ თბილისში

პატრიარქის ზაფხული

ქართული დეტექტივი
ტომი 13

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი


## ჩინეთში 400-მა პენსიონერმა ბიკინის კონკურსში მიიღო მონაწილეობა



ჩინეთის ქალაქ ტიანცზინში 400-ზე მეტმა ქალმა, რომელთა ასაკი 55-წელს აღემატებოდა, გრანდბიკინის კონკურსში მიიღო მონაწილეობა და რომლისთვისაც პენსიონერები საცურაო კოსტიუმ ბიკინიში გამოეწყვნენ.

ასაკოვანი ქალებისთვის შეჯიბრი ტიანცზინის საწყლოსნო პარკში მოეწყო. გავრცელებული ინფორმაციით, კონკურსი ზედიზედ მესამედ ჩატარდა. ორგანიზატორების ჩანაფიქრით, მისმა მონაწილეებმა და მაყურებლებმა პირველ რიგში დადებითი ემოცია უნდა მიიღონ და არა დაძაბულობა და ნერვიულობა პირველი პრიზის მოსაპოვებლად.

– ჩემ ასაკში ბიკინის კონკურსში მონაწილეობა იმას ნიშნავს, რომ მე ჯანმრთელი და ბედნიერი ვარ, – განაცხადა 78 წლის მა ცზინმა, რომელმაც კიბოს დაავადების დამარცხება შეძლო.

დეფილეს გარდა, კონკურსანტებმა ასევე მონაწილეობა მიიღეს ცეკვისა და ჩინური ეროვნული კოსტიუმების კონკურსში.

## სამხრეთ კორეის პრეზიდენტმა ძაღლი თავშესაფრიდან აიყვანა



სამხრეთ კორეის პრეზიდენტმა მუნ ჩჟე ინმა „ქვეყნის პირველი ძაღლი" ცხოველთა თავშესაფრიდან აიყვანა.

სახელმწიფოს მეთაურის შინაურ ცხოველს ტორი ჰქვია. ის შერეული ჯიშის ძაღლია.

ისევე, როგორც ცხოველთა თავშესაფრების მრავალი ბინადრის შემთხვევაში, ტორი დაზარალდა არა მხოლოდ იმიტომ, რომ ის მიატოვეს, არამედ საკუთარი შეფერილობის გამოც (ქვეყანაში უფრო ნათელი ფერების ცხოველებს ანიჭებენ უპირატესობას და ცრურწმენის გამო მუქი ფერის ცხოველებს გაურბიან).

ქვეყნის პრეზიდენტის თქმით, საზოგადოებამ უფრო მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს მიტოვებულ ცხოველებს და მათ მიმართ მეტი მზრუნველობა გამოიჩინოს.

სამხრეთ კორეის პრეზიდენტს ასევე ჰყავს 10 წლის პუნგსანის ჯიშის ძაღლი და ყოფილი უპატრონო კატა.

## კროსვორდი ა



**შვეულად**: 1. უკიდურეს თავდავიწყებამდე მისული აღფრთოვანებული აღტაცება; 2. სამკითხაო ბანქო; 3. საწვავად ან სასუქად გამოყენებული ჭაობის მცენარეების ლპობის შედეგად წარმოქმნილი მკვრივი მასა; 4. სამეცნიერო ხარისხი საფრანგეთში; 6. ქართული ხალხური ცეკვა; 9. იაპონური ელექტროტექნიკური კონცერნი; 13. ცეკვის ძველი ქართული სახელწოდება; 14. ზღვისპირა კურორტი ყირიმში; 15. ქართველი ავტომრბოლელი; 17. შრომის სადიდებელი ქართული ხალხური სიმღერა; 18. თანავარსკვლავედის ძველი ქართული სახელწოდება; 20. მატყლის სართავი პრიმიტიული ხელსაწყო.

**თარაზულად**: 1. ხელოვნების ერთ-ერთი ჟანრი; 5. ლუთერანული ეკლესია; 7. ცხოველთა სამყაროს შემსწავლელი მეცნიერი; 8. პოპულარული ზღვისპირა კურორტი ნეაპოლის ყურეში; 10. აზროვნების ორგანო; 11. მდინარის, ხევის ჩანგრეული ნაწილი; 12. კუთხე საქართველოში; 16. კაზაკთა სოფელი; 17. ქართული ფოლკლორული ანსამბლი; 21. ისრაელის კალათბურთელთა გუნდი; 22. ნიადაგის ღრმად გამაფხვიერებელი კულტივატორი; 23. მთიანეთი შუა აზიაში; 24. კინოს ძველი სახელწოდება.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*